# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 7 სექტემბერი 2007 №206 (3129)

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეიდან! წაიკითხე ნამდვილი და უყურე

დღეიდან და თვენახევარს, ჩამტკბარ და გემრიელ სექტემბერში, შემოდგომის საფრანგეთში რაგბის ითამაშებენ. მსოფლიოს თასი დაიწყო! ვისაც ესმის ამ რამდენიმე უბრალო სიტყვის მნიშვნელობა, მან იცის: დაიწყო მსოფლიოში ყველაზე ნამდვილი და თვალწარმტაცი სანახაობა, ომი და მშვიდობა, ხალისი და ვაჟკაცობა; დაიწყო ისეთი რაღაც, რაც მარადიულობის შეგრძნებას ბადებს მაყურებელში.

ასეთი ძველი და ასეთი ახალი ქვეყანაზე ძნელი საპოვნელია.

და საქართველოც იქაა, უკვე ზედიზედ მეორედ: საბურთაოდ, საბრძოლველად, სახელისა და ღირსებისთვის.

რაგბიში არაფერი ქრება: იქ ყველაფერი ფასდება. იქ ადამიანები ჩანან.

რაგბის მსოფლიო თასი დაიწყო!




AFP

# ნუ იქნები ცხვარი და არ დაგჭირდება ცხვარი






# ვა, ტო, ვატო:



## ნუ შევიქმნით იმუნოდეფიციტს

პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრის პრეტენზიის მქონე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ვერც წლეულს შეძლო ევროკალათბურთის ელიტისკენ გზის გაკაფვა, ისევ B დივიზიონში ჩარჩა და ნაკრების უცვლელმა კაპიტანმა ვახტანგ ნაცვლიშვილმაც ქუდი დაიხურა...

ვატოზე ავს ვერავინ იტყვის, თვით მას კი ბევრი აქვს სათქმელი...

— როცა ფაჩულია, სანიკიძე, ცქიტიშვილი, ბოისა, მარკოიშვილი გყავს, A დივიზიონში თამაშს ულაპარაკოდ იმსახურებ...

— მიზეზები არ გველევა. აქაც იყო მარცხის კონკრეტული მიზეზი და მას მწვრთნელი, კენ შილდსი ჰქვია...

— როდესაც ჯიუტად არ ცვლი ცუდად მოთამაშეს და თვალდახუჭული ენდობი თავიდან შერჩეულ ხალხს, ეს არასწორია...

— დეტალებში ჩაღრმავება არ მინდა. ერთს ვიტყვი: შილდსს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება უჭირდა...

— მინდა, ეს ინტერვიუ ინგლისურად დაიბეჭდოს, რათა შილდსმა წაიკითხოს და დანაშაული იგრძნოს...



გაზეთი კომერსანტის ფოტო

# გამხნევდით!

## გაბაშვილმა ნაკრებს სახელმწიფო გააცნო

„თქვენ ხართ საქართველოს მშვიდობიანი ჯარისკაცები და გულშემატკივარს უხარია, როცა ყველა მატჩში მისი ქვეყნის ფეხბურთელი ბოლომდე, ჟინიანად იბრძვის. კონკრეტულად, უკრაინასთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია და გადავწყვიტე, თქვენთან მოვსულიყავი გასამხნევებლად, ამასთან, გამეცნო სახელმწიფოს გეგმები ქართულ ფეხბურთში" — ასე მიმართა კულტურისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს.

გაბაშვილი „ბასას" ბაზაზე ესტუმრა და საპრესკონფერენციო დარბაზში ესაუბრა ფეხბურთელებს. ცხადია, დარბაზში იყვნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე და ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი.

მინისტრმა ჟურნალისტების წინაშეც ისაუბრა და ცალკე, შინაურულადაც ელაპარაკა ფეხბურთელებს. და რაც მასმედიელებს გვითხრა, ესაა:

„ნაკრებს რამდენიმე მძიმე გასვლითი მატჩი ჰქონდა და სამწუხაროა, რომ კარგა ხანი აღარ გაუმარჯვია. სწორედ ამ დროს სჭირდება გუნდს გამხნევება, უკრაინასთან თამაშზე ბევრი ამბობს, ნაკრებს მოტივაცია არ აქვსო, მაგრამ საქართველო — უკრაინა უმოტივაციო თამაში არ შეიძლება იყოს. მჯერა, გამარჯვებებიც მოვა და იმედია, ეს უკრაინასთან მატჩით დაიწყება."

ნოდარ ახალკაცი: დიდი ხანია, ნაკრებს არ მოუგია. უკრაინასთანაც კიევში დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. საერთოდ, უკრაინელებთან ძალიან უარყოფითი ბალანსი გვაქვს და ნაკრები სრულადაა მობილიზებული 8 სექტემბრის თამაშისთვის.

**ილია ნანობაშვილი**

# სამ-ლევან, შეტევა თქვენზეა!

**„ამერის" საშინაო მატჩებზე ტრიბუნა თითქმის სავსეა ხოლმე, მაგრამ გუშინ გლდანში იმდენი გულშემატკივარი მოვიდა, ეროვნული ჩემპიონატის თამაშების უმეტესობას ენატრება — საქართველოს ნაკრების ვარჯიში იყო**

კლაუს ტოპმიოლერმა ფეხბურთელები ჯერ უბურთოდ, მერე ბურთიანად ატუნტულა, რასაც ორმხრივი მატჩი მოჰყვა — ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი და ლევან ყენია ორივე გუნდის შეტევებს იწყებდნენ. ადვილი გასაგები იყო, ტოპი ნახევარდაცვას „ამუშავებდა". ფეხბურთელებმა შორი მანძილიდან დარტყმაშიც ივარჯიშეს, განსაკუთრებით ოთარ ხიზანეიშვილი გამოირჩეოდა — ყველაზე ხშირად არხევდა ბადეს.

სამწუხაროდ, ეროვნული ნაკრები დანაკლისს ვერ ასცდა — ზაალ ელიავამ გიორგი დემეტრაძესთან შეჯახებისას მხარი იტკინა და ვარჯიში ველარ გააგრძელა. ელიავას მხრი ადრეც დაშავებია და მისი უკრაინასთან თამაში გამორიცხულია. კოჭი გაუსივდა ლევან ყენიას, თუმც სერიოზული არაფერია.

ვარჯიშის შემდეგ მათე ღვინიანიძესა და ალექსანდრე იაშვილს გავესაუბრეთ...

ღვინიანიძე: მცირე ტრავმა მაწუხებს, ნაოპერაციევი მუხლი წამომტკივდება ხოლმე, თუმც ნაკრებისთვის ამას არ დავეძებ.

— უკრაინასთან მატჩზე რას იტყვი?

— ძნელი თამაში იქნება — უკრაინა ხომ ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძვის.

— შენმა კლუბმა, „მიუნხენ 1860"-მა მეორე ბუნდესლიგა ყოჩაღად დაიწყო და ლიდერობს. ბუნდესლიგაში გადასვლა აუცილებელი პირობაა?

— კლუბის ხელმძღვანელობა სწორედ ამას გეგმავს. ოთხ ტურში სამი მოვიგეთ და მხოლოდ „კიოლნს" ვეთამაშეთ ფრედ. „კიოლნი" კი ერთ-ერთი საუკეთესოა მეორე ბუნდესლიგაში. ტემპი არ უნდა შევანელოთ, თორემ შარშანაც კარგად დავიწყეთ და მერე დავკარგეთ ქულები.

— ცენტრალურ მცველად თამაშობ, თუმც ადრე მარჯვენა მცველადაც გითამაშია და საყრდენ ნახევარმცველადაც...

— ამ სეზონში ცენტრალური მცველი ვარ და სასიამოვნოა, რომ მწვრთნელი მენდობა. ხელმძღვანელობაც კარგი თვალით მიყურებს და პრესაც.

იაშვილი: უკრაინას ძლიერი ნაკრები ჰყავს, მაგრამ საქართველოს შესწევს ძალა, ოლეგ ბლოხინის გუნდს მოუგოს. მთავარია, ყველანი მობილიზებული შევხვდეთ თამაშს და მჯერა, უკრაინას დავამარცხებთ.

— 12 სექტემბერს აზერბაიჯანთან თუ იქნები?

— არა, გერმანიაში უნდა დავბრუნდე.

— ლუქსემბურგთან თამაშს გვერდს ვერ ავუვლით. რატომ ვერ მოუგეთ უსუსტეს მეტოქეს?

— ბევრი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მე პენალტიც გავაცუდე. ფეხბურთში გოლი თუ ვერ გაიტანე, ვერ მოიგებ. ცუდია, ასეთ სუსტ ნაკრებს რომ ვერ მოვუგეთ, მაგრამ ახლა მთავარია, შესარჩევ მატჩებში იგივე არ დაგვემართოს.

— ლუქსემბურგთან ვერმოგებას პრესისგან კრიტიკა მოჰყვა...

— ეს ჩვეულებრივი ამბავია, კრიტიკა უნდა იყოს, ოღონდ ობიექტური, ფეხბურთელიც და ჟურნალისტიც თავის საქმეს პროფესიონალურად უნდა მიუდგეს.

— ბევრი ამბობს, საქართველოს ნაკრებში კვალიფიციური ფეხბურთელების ნაკლებობააო. შენ რას იტყვი?

— სასურველია, უფრო მეტი იყოს, მაგრამ რას ვიზამთ, თუმც საქართველოში უკვე გამოჩნდნენ ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელები. ჩემი აზრით, ისინი კარგ ევროპულ გუნდებში უნდა გადავიდნენ. მალე ლევან ყენია „შალკეში" წავა, რაც მისასალმებელია.

— კლუბზეც გკითხავ: 4 თამაშში „კარლსრუეს" 6 ქულა აქვს. კლუბის ხელმძღვანელობამ რა მიზანი დაგისახათ?

— ათეულში უნდა შევიდეთ. ბუნდესლიგაში ახალგადმოსული გუნდი ვართ და მიზანი მოკრძალებული გვაქვს.

**ილია ნანობაშვილი**
**ნუკრი ლოლაძე**



ზაალ ელიავას ძალიან ეტკინა



გაზეთი კომერსანტის ფოტო

# იტალია 1:0 საფრანგეთი

## დონადონიმ დომენეკს ჩუმად გაუტანა



რობერტო დონადონი

**იტალიის** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანი პეტრუჩიმ რობერტო დონადონის სიჩუმე შეუქო. საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა რაიმონ დომენეკმა იტალიელები მსაჯის მოქრთამვაში დაადანაშაულა და შესარჩევი მატჩის წინ ვითარება დაძაბა. დომენეკმა თქვა, რომ 1999 წელს იტალია — საფრანგეთის 21-წლამდელთა შეხვედრაში (2:1) მასპინძლებმა მოქრთამული არბიტრის დახმარებით მოიგეს. ამას აპენინებზე დიდი რია-რია მოჰყვა, მაგრამ „სკუადრა ატურას" მწვრთნელ რობერტო დონადონის არაფერი უთქვამს. სამი დღის წინ ლასანა დიარამ იტალიელებს თაღლითები და პროვოკატორები უწოდა და დონადონიმ კვლავ სიჩუმე არჩია.

ჯანი პეტრუჩი: „ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯანკარლო აბეტე და ნაკრების თავკაცი სწორად მოიქცნენ, დომენეკს რომ არ აჰყვნენ. ეს უკვე გოლია მეტოქის კარში. მათ სიმშვიდე შეინარჩუნეს და დუმილით უპასუხეს. ჩვენ საფრანგეთთან ვმეგობრობთ და სამართლიანი თამაშის წესები უნდა დავიცვათ".

ითამაშებენ თუ არა ხვალ ლუკა ტონი და პატრიკ ვიეირა? „მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ექიმები თავს დამტრიალებენ და ცდილობენ, გამომაჯანმრთელონ" — თქვა იტალიელმა ფორვარდმა, ხოლო პატრიკ ვიეირა დავის მიზეზი გახდა. დომენეკმა განაცხადა: „ის ფიზიკურად მზადაა და უკეთესად გრძნობს თავს, მაგრამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ითამაშებს თუ არა". „ინტერის" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ რომ შეიტყო, ვიეირას ძირითადში დაყენებას უპირებენო, დომენეკზე გაბრაზდა. ფრანგი ნახევარმცველი 22 აგვისტოს სლოვაკეთთან მატჩში დაშავდა და მანჩინის სურს, რომ არ ათამაშონ, სანამ ბოლომდე არ მოშუშდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ინგლისი**

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი

სტაფორდი 2:3 ჰალიფაქსი

**შვედეთი**

სუპერეტა
გადადებული მატჩი

სირიუსი 2:3 ჰეკენი

**ამხანაგური მატჩები**

ვეჟენი 0:1 აარაუ

დინამო (კიევი) 2:2 მილანი



# გულები გვაქვს, ქულები გვინდა

**დღეს,** 16 საათზე, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები რუსთავში, „ფოლადის“ სტადიონზე ყაზახთა გუნდს უმასპინძლებს. ეს ქართველი 21-წლამდელების მესამე მატჩია ევრო-2009-ის შესარჩევ ციკლში. ჩვენები ჯერ ესპანეთთან დამარცხდნენ 0:1, შემდეგ პოლონეთთან 1:3. ყაზახებმა კი ჯერ ერთი მატჩი გამართეს — შინ 0:1 წააგეს რუსებთან, მაგრამ დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ათამაშეს და უეფამ 0:3 გამოუწერა.

ორი მარცხის შემდეგ ქართველებს მოგების მეტი არაფერი დარჩენიათ, მით უმეტეს, მეტოქე არც ისე ძლიერია და მისი ძლევა არ უნდა გაჭირდეს იმის მიუხედავადაც, რომ პეტარ სეგრტის ბიჭები ოპტიმალური შემადგენლობით ვერ ხვდებიან მეტოქეს. ტრავმის გამო გუნდს დააკლდებიან გიორგი ლორია, რატი წინამძღვრიშვილი, ლევან მჭედლიძე, ალექსი ბენაშვილი, მირზა ბუკლავა, ბესიკ ჩიმაკაძე, კახა მახარაძე, დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია. ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს ლევან ყენია, ნუკრი რევიშვილი, გიორგი მაკარიძე და მათე ლეინაძე. სეგრტს სანუგეშოდ ისღა აქვს, რომ ეროვნულმა გუნდმა სანდრო კობახიძე და გიორგი მერებაშვილი დაუბრუნა, ხოლო ჯაბა კანკავა დიდ ნაკრებში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებდა და ამიტომ თანატოლებს დაეხმარება.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პეტარ სეგრტმა მატჩამდელი პრესკონფერენცია გამართა:

„ჩვენ ვაფასებთ მეტოქეს — ყაზახეთის ნაკრები ძალიან ენერგიული და კარგი გუნდია, რომელსაც ფინელი მწვრთნელი იუჰა მალინენი სკანდინავიურ ქვეყნებში დამკვიდრებული ტაქტიკური სქემით 4-4-2 ათამაშებს, თუმც სტუმრად 4-4-1-1-საც იყენებს. ვნახეთ ყაზახების მატჩი რუსებთან და ვთვლი, რომ რუსებს გაუმართლათ...

...ამ შეხვედრისთვის კარგად მოვემზადეთ. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ იმ გუნდიდან, რომელმაც პოლონეთში ითამაშა, კლაუს ტოპმიოლერმა ხუთი ფეხბურთელი ეროვნულ გუნდში იხმო. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის დიდი სტიმულია, ისინი უნდა მიხვდნენ, რომ გზა ახალგაზრდული ნაკრებიდან ეროვნულამდე მოკლეა...

...გადაწყვეტილია, რომ ჯაბა კანკავა ჩვენ დაგვეხმარება, მას დისკვალიფიკაცია აქვს და ეროვნულ გუნდში ვერ ითამაშებს...

...გუნდის თხოვნით, ხვალ მცხეთაში, ეკლესიაში წავალთ. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ გუნდში კარგი ატმოსფეროა...

...დღეს ჩვენი მთავარი საზრუნავი ყაზახეთია, შემდეგ ესპანეთზე ფიქრს დავიწყებთ, იმედია, ყაზახებთან მატჩის შემდეგ დისკვალიფიცირებულნი და ტრავმირებულნი არ გვეყოლებიან...

...შუაზიელებთან მოგება გვინდა და პირველივე წუთებიდან უნდა შევუტიოთ. ესპანეთთან და პოლონეთთან წაგების შემდეგ ქების სიტყვები დავიმსახურეთ, მაგრამ მე ქება კი არა, ქულები მინდა...

...საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ყოველთვის გულით თამაშობს, ასე იქნება ხვალაც. დარწმუნებული ვარ, თერთმეტივე ფეხბურთელი ბოლომდე დაიხარჯება. ამის თაობაზე კანკავამაც მითხრა — მეამაყება, რომ ახალგაზრდულში ვითამაშებო. მჯერა, ჯაბა ხვალ გუნდის ლიდერი იქნება...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

გუშინ საღამოს გაირკვა, რომ გიორგი მერებაშვილი და გიორგი კახელიშვილი ყაზახებთან ვერ ითამაშებენ — მერებაშვილი ეროვნული გუნდის ვარჯიშისას დაშავდა, კახელიშვილს კი მაღალი სიცხე აქვს.



# ზესტაფონი ზამთრამდეც და მერეც

ოთხი ტურის შემდეგ „ზესტაფონი“ საქართველოს ჩემპიონატის ცხრილის თავშია. იმერლები სტარტზე შინ თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ დაუზავდნენ, მას შემდეგ კი მიჯრით სამჯერ იმარჯვეს: სტუმრად „მესხეთი“ დაამარცხეს, შინ კი „მგლებსა“ და „ლოკომოტივს“ სძლიეს. „ზესტაფონის“ მთავარ მწვრთნელ თემურ მახარაძეს „ნორჩ დინამოელზე“ ფეროელთა ვარჯიშის შემდეგ ვესაუბრეთ...

— სეზონის პირველი მატჩები ყოველთვის რთულია, თან ჩვენთან ის საშინელი ამბავი მოხდა, სანტოსის მეუღლე რომ შეურაცხჰყვეს. ამან გუნდზეც იმოქმედა და პირველ ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ წაფორხილებაც ნაწილობრივ ამის ბრალი იყო. „მგლებთან“ პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ჩვენ სასარგებლოდ დამთავრდა. „მესხეთთან“ და „ლოკომოტივთან“ კი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ.

— ახალი ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ, ჭელიძე, ლობჟანიძე...

— მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ჭელიძეს მოსამზადებელი პერიოდი არ გაუვლია, მაინც კარგად ჩაჯდა გუნდის სქემაში, თუმც ოპტიმალურ ფორმამდე ჯერ კიდევ უკლია. ახლახან ახალგაზრდა, პერსპექტიული მცველი უჩა ლობჟანიძეც დავიმატეთ, გუნდს დაუბრუნდა ბექა გოცირიძე, ორ კვირაში კი გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეც შემოგვიერთდება, რომელსაც ახლა ტრავმა აქვს.

— თქვენთან ვარჯიშობს გაბონელი თავდამსხმელი ეტიენ ბიტოოც...

— თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ბიტოო მომდევნო ტურში უკვე „ზესტაფონის“ ფეხბურთელი იქნება.

— ცხადია, უკეთესი მიზნებისთვის იბრძოლებთ...

— პროგრამა მინიმუმი ევროთასზე გასვლაა. ზამთრის შესვენების შემდეგ „ზესტაფონი“ გაცილებით უკეთ ითამაშებს. ახლა მთავარი ისაა, რომ სვლა არ შევანელოთ.

— მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?

— ჩემპიონატი კარგად დაიწყეს „ვიტ ჯორჯიამ“, „დინამომ“, „ოლიმპმა“. მიუხედავად იმისა, რომ „ამერმა“ თავიდან წაიფორხილა, ჩემპიონობის ერთ-ერთ კანდიდატად მივიჩნევ.

**ნუკრი ლოლაძე**

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მერვედფინალი. ჯგუფური ეტაპი

**ფოთის** „კოლხეთისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გადადებულმა მატჩმა ის ბოლო მერვედფინალისტი გაარკვია, რომელიც საქართველოს თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს. ფოთელებმა სტუმრად ნათამაშევი 0:0-ის შემდეგ მასპინძლის უპირატესობა ვერ გამოიყენეს და 1:2 დამარცხდნენ — „ტორპედომ“ თექვსმეტეული შეავსო.

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში თასის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. ევროტურნირებზე ნათამაშებმა ქართულმა კლუბებმა თასის წინა ეტაპი გამოტოვეს და მერვედფინალშიც განთესილთა შორის იყვნენ, დანარჩენი გუნდები კი ჩემპიონატში ამჟამინდელი სატურნირო მდგომარეობის მიხედვით დალაგდნენ.

ოთხ ჯგუფად დაყოფილი ოთხოთხი გუნდიდან შემდგომ ეტაპზე ორ-ორი საუკეთესო გავა.

ყველაზე საინტერესო მეორე ჯგუფია — სამი დედაქალაქური გუნდი, „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „ლოკომოტივი“ და ჭიათურის „მაღაროელი“. იმერლებს ძლიერ მეტოქეთა კომპანიონობა კი ეწყინათ, მაგრამ, ბრძოლას ყველას გავუმართავთო, თქვეს. თუ ჭიათურელები დიდ გულზე არიან, დანარჩენები ერთმანეთს რას დამართებენ, ძნელი გამოსაცნობი არ არის.

ერთადერთი ჯგუფი, სადაც თბილისური გუნდი არ ითამაშებს, მეოთხეა: ქართლ-კახეთი-იმერეთი, ბოდიში გურულებთან და, სამეგრელო. ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, „ზესტაფონს“ და ზუგდიდის „მგლებს“ მომდევნო ეტაპზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ. გორის „დილას“ ნაკლები და „კახეთს“ მცირე შანსი აქვთ.

პირველ და მესამე ჯგუფებს თითო გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავთ — თასის მფლობელი „ამერი“ და ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“. ამ ჯგუფებში მთავარი ბრძოლები უფრო მეორე ადგილისთვის იქნება. პირველ ჯგუფში მეორეობისთვის ახალციხის „მესხეთი“ და ცხინვალის „სპარტაკი“ იბრძოლებენ. „ტორპედოს“ მათ დავაში ჩარევა გაუჭირდება. მესამეში კი მეორე საგზურისთვის „ბორჯომი“ უფრო იბრძოლებს, თუმც თავისას „ბათუმიც“ და „მერანიც“ ეცდებიან.

I ჯგუფი: „ამერი“, „მესხეთი“, „სპარტაკი“, „ტორპედო“;
II ჯგუფი: „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „ლოკომოტივი“, „მაღაროელი“;
III ჯგუფი: „ოლიმპი“, „ბორჯომი“, „ბათუმი“, „მერანი“;
IV ჯგუფი: „ზესტაფონი“, „მგლები“, „დილა“, „კახეთი“.

18-19 სექტემბერი: „ამერი“ — „ტორპედო“; „მესხეთი“ — „სპარტაკი“; „დინამო“ — „მაღაროელი“; „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“; „ოლიმპი“ — „მერანი“; „ბორჯომი“ — „ბათუმი“; „ზესტაფონი“ — „კახეთი“; „მგლები“ — „დილა“;

2-3 ოქტომბერი: „ამერი“ — „მესხეთი“; „ტორპედო“ — „სპარტაკი“, „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“; „მაღაროელი“ — „ლოკომოტივი“; „ოლიმპი“ — „ბორჯომი“; „მერანი“ — „ბათუმი“; „ზესტაფონი“ — „მგლები“, „კახეთი“ — „დილა“;

23-24 ოქტომბერი: „სპარტაკი“ — „ამერი“; „მესხეთი“ — „ტორპედო“; „ლოკომოტივი“ — „დინამო“; „ვიტ ჯორჯია“ — „მაღაროელი“; „ბათუმი“ — „ოლიმპი“; „ბორჯომი“ — „მერანი“; „დილა“ — „ზესტაფონი“; „მგლები“ — „კახეთი“;

1-2 ნოემბერი: „ტორპედო“ — „ამერი“; „სპარტაკი“ — „მესხეთი“; „მაღაროელი“ — „დინამო“; „ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯია“; „მერანი“ — „ოლიმპი“; „ბათუმი“ — „ბორჯომი“; „კახეთი“ — „ზესტაფონი“; „დილა“ — „მგლები“;

5-6 ნოემბერი: „მესხეთი“ — „ამერი“; „სპარტაკი“ — „ტორპედო“; „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“; „ლოკომოტივი“ — „მაღაროელი“; „ბორჯომი“ — „ოლიმპი“; „ბათუმი“ — „მერანი“; „მგლები“ — „ზესტაფონი“; „დილა“ — „კახეთი“;

6-7 დეკემბერი: „ამერი“ — „სპარტაკი“; „ტორპედო“ — „მესხეთი“; „დინამო“ — „ლოკომოტივი“; „მაღაროელი“ — „ვიტ ჯორჯია“; „ოლიმპი“ — „ბათუმი“; „მერანი“ — „ბორჯომი“; „ზესტაფონი“ — „დილა“; „კახეთი“ — „მგლები“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მიხეილი კავკასიურ წრეში

**რუსულ** პრემიერლიგას კიდევ ერთი ქართველი შეემატა — თბილისის „ლოკომოტივის“ მესამე მეკარე, 20 წლის ვლადიმერ ზუხბაია ნალჩიკის „სპარტაკმა“ საჩემპიონატო განაცხადში შეიყვანა.

ამ ამბავში საინტერესო ისიც გახლავთ, რომ ჩვენში მეკარეების პრობლემა აშკარა და თვალშისაცემია და ამ დროს ქართული გუნდის მესამე მეკარე გაცილებით მაღალი დონის ჩემპიონატის გუნდმა გადაიყვანა.

ნალჩიკელებს კიდევ ერთი ქართველის, მიხეილ აშვეთიას შეძენაც სურდათ, მაგრამ ეს საქმე არ გამოუვიდათ, რადგან აშვეთიას მახაჩყალის „ანჟისთან“ წინასწარი შეთანხმება აქვს, ოღონდ დაღესტნელებს ახალი ფეხბურთელების რეგისტრაცია ჯერჯერობით ეკრძალებათ, ჩვენებურსაც თამაშის უფლება არ აქვს და ყაბარდოელებსაც მისი შეძენა ამიტომ სურდათ. ნალჩიკში აშვეთიას თამაშის შემთხვევაში მახაჩყალელები მისი დეკემბერში გამოსყიდვის უფლებას იტოვებდნენ, ეს კი ნალჩიკელებს ხელს არ აძლევთ, რადგან მათ აშვეთია სამ თვეზე მეტი ხნით სურდათ დაეტოვებინათ გუნდში.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# კახა მჟავანაძემ დნესტრში ჩაუხვია

კახა მჟავანაძეს წლეულს უკრაინული კარიერა ნამეტანი აერია. ჯერ იყო და, ოდესის „ჩერნომორეციდან“ მახაჩყალის „ანჟიში“ გაანათხოვრეს. ჩვენიანმა რუსეთის ვიზას თვეზე მეტ ხანს უცადა და თითო-ოროლა მატჩში თუ დაეხმარა დაღესტნელებს. ზაფხულში მჟავანაძე ოდესაში დაბრუნდა, საკონტროლო თამაშებიც ჩაატარა, მაგრამ მერე დაშავდა.

ახლა კი ჯანმრთელი მჟავანაძე „ჩერნომორეცმა“ წლის ბოლომდე უკრაინის პირველლიგელ ოვიდიოპოლის „დნესტრში“ გაანათხოვრა.

**ილია ნანობაშვილი**

# ოჯახის კაცი



**ბერნარდო კორადის** „პარმაში“ მოეწონა და „მანჩესტერ სიტის“ შეფებს სთოვა, რომ მისი კონტრაქტი იტალიელებს მიჰყიდონ. ფეხბურთელი ამ ზაფხულს „სიტიმ“ „პარმას“ ერთი წლით დაუთმო, კორადის კი მომავალ წელს სამშობლოდან ინგლისში დაბრუნება აღარ უნდა.

„აქ ყველას ვიცნობ და თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ ოჯახში — თქვა ფორვარდმა, რომელიც 2005-06-ის სეზონში „ვალენსიადან“ იყო „პარმაში“ განათხოვრებული და 35 მატჩში 10 გოლი გაიტანა — ორი წლის წინაც ვიყავი აქ და კარგად მიმიღეს, მაგრამ მაშინ კლუბი გაკოტრებული იყო და სერია A-ში დასარჩენად იბრძოდა“.

„პარმას“ ამ სეზონშიც არ აქვს დიდი მიზნები, თუმც კორადი მაინც იმედიანადაა, რადგან ტრავმირებული იგორ ბუდანის ადგილს დაიკავებს. „მინდა, დავამტკიცო, რომ ტყუილად არ გადმომიყვანეს „სიტიდან“ — თქვა თავდამსხმელმა — „პარმა“ ყველაზე მეტად იყო ჩემით დაინტერესებული და მეც აქ მოსვლა ვარჩიე, მიუხედავად იმისა, რომ ესპანური და იტალიური კლუბებიც მეპატიჟებოდნენ“.

ბერნარდო კორადიმ „მანჩესტერ სიტიში“ 25 მატჩში მხოლოდ სამი გოლი გაიტანა და ამიტომაც ცდილობს ხელახლა იმის დამტკიცებას, რომ ძლიერი ფორვარდია.

„როცა ორი წლის წინ „პარმაში“ მოვედი, მსურდა, კარგი თამაშით ნაკრებში ადგილი მომეპოვებინა და მსოფლიოს ჩემპიონატზე წავსულიყავი. ახლა კი სხვა მიზანი მაქვს, მინდა, რომ სეზონის ბოლოს პარმელებმა „სიტიდან“ კონტრაქტი გამოისყიდონ. ინგლისში საკმაო გამოცდილება მივიღე და ჩემი შესაძლებლობები უკეთესად შევაფასე“.

ბერნარდო კორადის დებიუტი, სავარაუდოდ, მესამე ტურში შედგება, როცა „პარმა“ საკუთარ „ენიო ტარდინიზე“ „კალიარის“ უმასპინძლებს.

**ვაჟა ხუციშვილი**




# ანჩელოტიმ კიევში შევჩენკო ნახა

**კიევის** „დინამოს“ 80 წლიან იუბილესთან დაკავშირებით, გუშინ უკრაინის დედაქალაქში „მილანი“ დინამოელებს ამხანაგურად ეთამაშა, მატჩის წინ კი კარლო ანჩელოტიმ ალეშანდრე პატოზე, რონალდოზე და ანდრეი შევჩენკოზე ისაუბრა.

ადრიანო გალიანიმ, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა სამი დღის წინ განაცხადა, რომ ჯერ არ იციან, როდის დაუბრუნდება ბრაზილიელი მოედანს. მწვრთნელმა კი გუშინ თქვა: „რონალდო 15 სექტემბერს „სიენასთან“ მატჩისთვის ძირითად შემადგენლობაში იქნება. არ ვიცი, რატომ ატყდა დიდი ამბავი მედიაში“.

„დინამოსთან“ სათამაშოდ ახალწვეული ალეშანდრე პატოც წაიყვანეს, რომელსაც გასულ შაბათს 18 წელი შეუსრულდა. „ვიმედოვნებთ, რომ პატო გუნდში იოლად ჩაეწერება. საამისოდ საკმაო დროს მივცემთ. იანვრამდე ბევრ ამხანაგურ მატჩში ვათამაშებთ. ძალიან სწრაფია და მისგან დიდებული ფორვარდი გაიზრდება“ — განაცხადა მწვრთნელმა.

კიევის „დინამომ“ კი ამხანაგური მატჩისთვის ანდრეი შევჩენკო დაპატიჟა, ვისაც „მილანში“ შვიდი წელი გაუტარებია.

„მილანიდან მისი წასვლის მერე აღარ შევხვედრივარ და მიხარია, რომ ვნახავ. ბევრი კარგი რამ გვაქვს გასახსენებელი“ — აღნიშნა ანჩელოტიმ.

„მილანის“ შემადგენლობაში ლეონარდოც შეიყვანეს, რომელმაც 2003-ში დაასრულა კარიერა და მას შემდეგ „შავ-წითლების“ სატრანსფერო საქმეებს აგვარებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გაზაევი რანიერის ურჩევს

**მოსკოვის** ცსკა-ს მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა „იუვენტუსს“ ბრანისლავ ივანოვიჩის ყიდვა ურჩია. სერბი მცველი ამჟამად „ლოკომოტივშია“, გასულ ზაფხულს კი ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზე ითამაშა ჰოლანდიაში და ერთ-ერთი საუკეთესო იყო. იგი უეფამ ტურნირის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა. ჩემპიონატის შემდეგ ივანოვიჩით რამდენიმე იტალიური კლუბი დაინტერესდა და მათ შორის ტურინელებიც იყვნენ. „კორიერე დელო სპორტთან“ გაზაევმა თქვა: „იუვენტუსმა“ უნდა შეიძინოს ივანოვიჩი, რადგან, ჩემი აზრით, ის სერია A-სთვის უკვე მზადაა“.

„იუვეს“ დაცვის გაძლიერება სურს და მცველს ეძებს. „კალირიმ“ ორი გოლი პენალტით გაუტანა, რომლებიც სწორედ დაცვის შეცდომის გამო დაინიშნა.

იტალიური მედიის ცნობით, ტურინელებს „ცრვენა ზვეზდადან“ ნახევარმცველ სეგუნდო კასტილიოს ყიდვაც უნდათ. 25 წლის ეკვადორელმა ამ ზაფხულს განაცხადა, „იუვენტუსი“ მეპატიჟებაო. კლაუდიო რანიერის სკაუტები გაუგზავნია კასტილიოს თამაშის სანახავად.

**ვაჟა ხუციშვილი**




# შვაინშტაიგერი შუაში შეწიეს

**უელსთან** ხვალინდელ მატჩში გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი ბასტიან შვაინშტაიგერი ნახევარდაცვის ცენტრში ითამაშებს. მიხაელ ბალაკი და ტორსტენ ფრინგსი ტრავმირებულნი არიან, ბერნდ შნაიდერი დისკვალიფიცირებულია და იოახიმ ლიოვის გუნდის ლიდერი „ბაიერნის“ 23 წლის ნახევარმცველი იქნება, რომელიც კლუბში მარცხენა ფლანგზე თამაშობს.

„ეს ჩემთვის ახალი როლია — თქვა შვაინშტაიგერმა — მაგრამ ალაბთ შევძლებ“.

„მან ლიდერობა უნდა იკისროს, რადგან ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია. უკვე ვესაუბრე და ავუხსენი, თუ რას ველი მისგან“ — განაცხადა მწვრთნელმა.

საუელსოდ გამოძახებული ფეხბურთელებიდან შვაინშტაიგერზე მეტჯერ ნაკრებში მხოლოდ არნე ფრიდრიხს (50), იენს ლემანს (47) და მიროსლავ კლოზეს (68) უთამაშიათ. „ბაიერნის“ ნახევარმცველს კი ეროვნული გუნდის მაისურა 43-ჯერ მოურგია.

**ვაჟა ხუციშვილი**

## სამი წელი თოფით ხელში

**არსენ ვენგერმა** ლონდონის „არსენალთან“ კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. დღეს ან ხვალ კლუბი ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადებს — წერს BBC. ახალი შეთანხმებით 57 წლის ფრანგი წელიწადში 4 მილიონ გირვანქას მიიღებს. ვენგერის წასვლაზე ზაფხულში ალაპარაკდნენ, რადგან კლუბის ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინი გადადგა და ტიერი ანრიმ „ბარსელონას“ მიაშურა. ფრანგი მწვრთნელი „მეთოფეებში“ დევიდ დინმა მიიყვანა.

## მარკო ფრენკიმ დაპატიჟა

**ბელგიური** მედიის ცნობით, „რომას“ ყოფილ ფორვარდ მარკო დელვეკიოს „ანდერლეხტი“ ეპატიჟება. დელვეკიო 2005-ში წავიდა „რომადან“, სადაც 269 მატჩში 77 გოლი გაიტანა. მან „ბრეშაში“ და „პარმაშიც“ ითამაშა, გასული სეზონი კი „ასკოლიში“ გაატარა. ფეხბურთელი მომავალ კვირას ბრიუსელში ჩავა და „ანდერლეხტის“ შეფ ფრენკი ვერკოტერენს შეხვდება.

## რობინსონს ამელიათი აშინებენ

**„ტოტენჰემს“** „ლივორნოდან“ მსოფლიოს ჩემპიონი მეკარის მარკო ამელიას გადაბირება სურს. 25 წლის გოლკიპერის ყიდვა „ლაციოს“ სურდა, მაგრამ ეძვირა. მისით „მანჩესტერ სიტი“ და „პალერმოც“ იყვნენ დაინტერესებულნი. „ტოტენჰემის“ მეკარე პოლ რობინსონი ფორმაში ვერაა. გერმანიასთან სანაკრებო მატჩშიც შეცდა და ერთი კვირის წინ „ფულემთან“ შეხვედრაშიც.

## ჩევანტონის დეკემბერი

**„სევილიას“** ფორვარდ ხავიერ ერნესტო ჩევანტონს ზამთარში გუნდიდან წასვლა უნდა. „ვიმედოვნებ, რომ დეკემბერში გაარკვევენ, ვჭირდები თუ არა. თუ არ ვუნდივარ, კონტრაქტს გავწყვეტ. შვიდი წლის წინ დაახლოებით მსგავს ვითარებაში ვიყავი. ვარჯიშობ, ვარჯიშობ და იცი, რომ არ გათამაშებენ. ეს კი ძალიან მძიმე გადასატანია“. ჩევანტონი შარშან ძირითად შემადგენლობაში ხშირად არ ჩანდა, ახლა კი სტაბილურად სათადარიგოებშია.

## ოლეგერის სამწლიანი მუშტი

**დანაშაული** თუ დაუმტკიცდა, „ბარსელონას“ მცველი ოლეგერ პრესასი შესაძლოა, ციხეში აღმოჩნდეს. 2003 წლის სექტემბერში, ქალაქ საბადელის ერთ-ერთ ბართან ჩხუბი მოხდა ბარიდან გამოსულ ბიჭებსა და პოლიციას შორის. რამდენიმე კაცი დაშავდა და საავადმყოფოში გააქანეს. პოლიცია ეჭვობს, რომ მოჩხუბართა შორის ოლეგერიც იყო. „ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ბარსელონელს სამწლიანი პატიმრობა ელის.

## სოსა გაჭრეს

**მიუნხენის** „ბაიერნის“ არგენტინელი ნახევარმცველს ხოსე სოსას ფეხზე ოპერაცია გაუკეთეს და ექვსი კვირა ველარ ითამაშებს. 22 წლის ფეხბურთელი მილიონ ევროდ „ესტუდიანტესიდან“ იყიდეს. მან ბუნდესლიგის ოთხ ტურში ორჯერ ითამაშა. სავარაუდოდ, სოსა 22 ოქტომბერს „ბოხუმთან“ მატჩისთვის იქნება მზად.

## კლემენტეს მიხაილოვი გაუმზადეს

**მილანის** „ინტერის“ მწვრთნელის, რობერტო მანჩინის ასისტენტ სინიშა მიხაილოვიჩს სერბეთის ნაკრების თავკაცის, ხავიერ კლემენტეს თანაშემწეობას სთავაზობენ. „ტუტოსპორტის“ ცნობით, სერბებმა ევრო 2008-ის საგზური თუ ვერ მოიპოვეს, მიხაილოვიჩი კლემენტეს ამ შემოდგომაზევე შეცვლის. „ინტერში“ კი მის ადგილს „ლაციოს“ ყოფილი ფეხბურთელი დარიო მარკოლინი დაიკავებს.

## ესტონეთი უმეკაროდ

**ხორვატიასთან** და მაკედონიასთან ევროშესარჩევი მატჩების წინ ესტონეთის ნაკრებს ძირითადი მეკარე მარტ პოომი დაუშავდა. მას ზურგი ასტკივდა, რომლის მკურნალობასაც თვენახევარი დასჭირდება. მეორე გოლკიპერი არტურ კოტენკო თითმოტეხილია და ამიტომ კარში პაველ ლონდაკი ჩადგება. იგი „ბოდიო გლიმტის“ ლეგიონერია, ნაკრებში კი სულ სამჯერ უთამაშია.

## ბაროში გართულდა

**სან მარინოსთან** შეხვედრაში ჩეხეთის ნაკრებს მილან ბაროში ვერ დაეხმარება. „ტრავმა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით — თქვა ექიმმა — ამიტომ მისი დატვირთვა არ შეიძლება და რამდენიმე დღე დასვენება მოუწევს“. „ლიონის“ თავდამსხმელი გუშინწინ ვარჯიშზე დაშავდა და უცნობია, შეძლებს თუ არა, 12 სექტემბერს ირლანდიასთან თამაშს. შესაძლოა, ბაროშის ნაცვლად „ტეპლიცეს“ ფორვარდ მარტინ ფენინს უხმონ.

## ქორწილი

**მოლდოვის** ნაკრებს ნახევარმცველი იგორ ციგირლაში ნორვეგიასთან და ბოსნიასთან მატჩებში ვერ დაეხმარება, რადგან ცოლი მოჰყავს. „ჩემი ცოლი უკრაინელია და ამ დღეებში უკრაინაში ჩასვლა მოგვიწევს. ქორწილს სხვა დღისთვის ველარ გადავდებდი. მწვრთნელს ვესაუბრე და გამიგო. ვიმედოვნებ, რომ თანაგუნდელები ქულებით დამასაჩუქრებენ“.

**ვაჟა ხუციშვილი**



AFP

# ტერის მთავარი მტერი

## გიჟი მიხვდა, რომ მარტო ფეხბურთზე არ უნდა იფიქროს

**იცით**, რომ ჯონ ტერი გამარჯვების გიჟია? იცით, რომ თუ ვერ იგებს, გუნება არანორმალურად ეცვლება? არადა, ცხოვრება მოგებებისა და წაგებებისგან შედგება... ჰოდა, ის ხან მეცხრე ცაზეა, ხან კი სადღაც საშინელ ჯურღმულში.

იცით, რომ წაგების შემთხვევაში „ჩელსისა“ და ინგლისის ნაკრების კაპიტანს კარგი გაძლება უნდა, რაც მისი ოჯახის წევრებისა და მეგობრების მარადიული ამოცანაა?

ერთი სიტყვით, ამ კაცის თვისება, წარმატებათა და წარუმატებლობათა თანმიმდევრობას ფილოსოფიურად არ შეხედოს და ცხოვრებისგან მარტო წარმატებებს ითხოვდეს, ერთი მხრივ, მისი დიდი პრობლემაა, მეორე მხრივ კი, არის სწორედ ის, რაც თანამედროვე ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მებრძოლად ხდის.

„სანთან“ ინტერვიუში ჯონ ტერიმ არ დამალა, რომ ისეთი წაგებები, ბოლო დროს ინგლისის ნაკრებს გერმანიასთან, ხოლო „ჩელსის“ „ასტონ ვილასთან“ რომ ჰქონდა, მას რამდენიმე დღით ბნელ ოთახში ჯდომისკენ უბიძგებს. და, ეროვნული გუნდის კაპიტანს დიდი იმედი აქვს, რომ შაბათს ისრაელთან ასეთი რამ აღარ განმეორდება.

„წაგება ჩემზე საშინლად მოქმედებს. ყოველი წაგების შემდეგ საკუთარ თავს ვსჯი და საშინელ გუნებაზე ვდგები. არ დავმალავ, ხანდახან, წაგებული მატჩის შემდეგ შინ მივდივარ და მთელ ჯავრს ოჯახის წევრებზე ვიყრი. ვიცი, ეს ნამდვილი სიგიჟეა, მაგრამ ასეთი ხასიათი მაქვს და ვერაფერს ვაწყობ. ძნელია იმის ზუსტად აღწერა, რა მემართება დამარცხების შემდეგ.

რომ წავაგებთ, არავის ნახვა და არავისთან ლაპარაკი არ მინდა. გასახდელში ხომ სრული დუმილია. არავინ ლაპარაკობს. ხანდახან საქმე იქამდეც კი მიდის, რომ წასვლის წინ ერთმანეთს არ ვემშვიდობებით. ასეთ დროს განმარტოება გინდება. წაგებული თამაშის ეპიზოდები კიდევ და კიდევ გიტრიალებს გონებაში, გაუთავებლად ერთსა და იმავეს ფიქრობ: რის გაკეთება შემეძლო, გუნდი წაგებისგან რომ მეხსნა?

თუ დიდ მატჩს ვაგებთ, განსაკუთრებით განადგურებული ვარ. ასეთ შემთხვევაში ხომ ფიქრის სხვა რამეზე გადატანას ვერა და ვერ ვახერხებ“.

და აი, ჯონ ტერი, სახვალიოდ, ინგლისის ნაკრების დანარჩენი ფეხბურთელებისგანაც ასეთსავე მიდგომას ითხოვს — ისრაელთან მას და მის თანაგუნდელებს ეგრეთწოდებული „ბანანის ქერქა“ თამაში აქვთ. ეს ინგლისური გამოთქმა კი იმას ნიშნავს, რომ ასეთ დროს ფეხის დაცდენა მეტისმეტად იოლია.

„გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე გუნდში რაიმე გამართლება და მიზეზი უბრალოდ, არ უნდა იყოს“ — განაცხადა 26 წლის ტერიმ, რომელმაც, თუ გახსოვთ, თებერვალში „ქარლინგის თასის“ ფინალში აბუ დიაბის მოქნეულ ბუციან-ქაცვებიან ფეხს თავი შეუშვირა. მაშინ „არსენალის“ ფიზიოთერაპევტმა გერი ლივინმა უშველა, სწრაფად მიხვდა, რა უნდა ექნა და გადაყლაპული ენა ამოუღო.

მაგრამ იმ დღეს „ჩელსიმ“ მოიგო და ამ სიხარულმა საკუთარი სიცოცხლის რისკი ჯონ ტერის წამში გადაავიწყა.

ჯონ ტერის ჩემპიონთა ლიგის სამი ნახევარფინალი აქვს წაგებული, ხოლო მსოფლიოს 2006 წლის პირველობის მეოთხედფინალში, პორტუგალიასთან მარცხის შემდეგ უბრალოდ, გულამოსკვნილი ტიროდა.

მის კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი გახლდათ აგრეთვე, ევრო 2004-ის შესარჩევი მატჩი სტამბოლში, თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ, რომელშიც დევიდ ბექჰემმა პენალტი ააცილა, ხოლო მა[illegible] ხდელში დიდი ჩხუბი ატყდა. ამბობენ, რომ [illegible] ინგლისელთა მაშინდელი კარგი თამაში დაჩრდილაო, მაგრამ ეს სხვა ამბავია.

ჯონ ტერის სნუკერის თამაშიც ძალიან ჰყვარებია. იგებს და იმიტომ.

კიდევ, მისმა თანაგუნდელებმა იციან, რომ შეკრებებზე, მის ოთახში ყოველთვის დართზის ჩემპიონატი იმართება.

კიდევ, ჯონ ტერი მეოჯახე ადამიანია. ახალშერთული ცოლი ტონი ჰყავს და ტყუპები ჯორჯი და სამერი, მაგრამ გუნებ-განწყობა...

„მე გუნება ვარჯიშზე თუ წავაგებ, მაშინაც მეცვლება, ოფიციალურ თამაშზე რომ აღარაფერი ვთქვათ. რა ვქნა, ასეთი ვარ და მგონი, სწორედ ამიტომ გახლავართ ასეთი ფეხბურთელიც. ერთი სიტყვით, საკუთარი თავისა არ მრცხვენია. საერთოდაც, მე ფეხბურთს ასე აღვიქვამ, სპორტი ჩემთვის გამარჯვებისთვის არსებობს. არ მინდა, 10 წლის შემდეგ უკან მოვიხედო და ვთქვა, რომ მეტის მოგებაც შემეძლო. სწორედ ამიტომ განვიცდი ნებისმიერ წაგებას, მითუფრო კი მნიშვნელოვანს. სწორედ ამიტომ არ შემიძლია ნახევარი ძალით თამაში, ყველა შეხვედრა ჩემთვის გამარჯვების მიზეზია, თუმცა, რაც ტყუპები გამიჩნდა და დავქორწინდი, აღმოვაჩინე, რომ ცხოვრებაში სხვა ინტერესიც მქონია. ვარჯიშიდან რომ ვბრუნდები, ტყუპები ზოოპარკში ან სადმე მიმყავს. ვცდილობ მათთან, რაც შეიძლება, დიდხანს ვიყო. მათ ჩემზე დიდი გავლენა აქვთ, რაც ძალიან, ძალიან მეხმარება. ახლაღა მივხვდი, რომ ხანდახან ფეხბურთიდან უნდა გადაერთო, მარტო მასზე ფიქრი არ შეიძლება“.

**ბაჩუნა ქედია**

# რაფას ფასი

## მასთან თვით ლივერპულის მწვრთნელი მივიდა

**ხავიერ მასკერანო** „ლივერპულის“ შეფის, რაფა ბენიტესის უსაზღვროდ მადლობელია. არგენტინელის თქმით, ბენიტესმა მას კარიერა გადაურჩინა.

გეხსომებათ, მასკერანოს ამბავი: ის და კარლოს ტევესი შარშან „ვესტ ჰემში“ გადავიდნენ, მაგრამ იქ თამაშის უფლებასთან და კონტრაქტთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნათ, რის გამოც მათი გზები გაიყარა. ტევესი სეზონის ბოლომდე დარჩა ლონდონელთა გუნდში, მასკერანო კი შუა გზაზე ქუჩაში გამოაგდეს და კარიც მიუჯახუნეს. თან, რაც ძალიან საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მონაწილე იყო, არგენტინელი „ჩაქუჩებმა“ ისე გაუშვეს, რომ ერთხელაც არ მისცეს სასტარტო შემადგენლობაში ფეხის მოკიდების საშუალება.

ჰოდა, სწორედ ასეთ მძიმე დღეში ჩავარდნილს უშველა „ლივერპულის“ ესპანელმა თავკაცმა. როგორც კი იანვრის სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნა, ბენიტესმა მასკერანო თავისთან წაიყვანა.

„ვფიქრობ, ის ასე იმიტომ მოიქცა, რომ მენდობოდა — თქვა მასკერანომ და დასძინა — მწვრთნელის ნდობა კი ძალიან მნიშვნელოვანი რამ გახლავთ. რაფა მე ძალიან დამეხმარა.

მე ჯერ კიდევ „ვესტ ჰემის“ ფეხბურთელი გახლდით, როდესაც ის ლონდონში ჩამოვიდა, ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ „ლივერპული“ საჩემო გუნდია. ეს რას ნიშნავდა იცით? ეს იმას ნიშნავდა, რომ სხვა სიტყვებით, მან დიდი გუნდისთვის შესაფერისი ფეხბურთელი მიწოდა. მან მითხრა, რომ ვჭირდები. იცით, როდესაც „ვესტ ჰემში“ არ გათამაშებენ და ამ დროს შენთან ასეთი ტექსტით თვით „ლივერპულის“ მწვრთნელი მოდის, სულ სხვა ჭკუაზე დგები.

წარმოიდგინეთ, ჩემი „ვესტ ჰემში“ ჩამოსვლა მარტო ახალ გუნდში მოხვედრა კი არა, თავის უცხო ქვეყანაში, უცხო კულტურაში ამოყოფა იყო. მერედა, რაც ხდებოდა ჩემთვის წარმოუდგენელი გახლდათ, ექვს თვეში სულ ხუთ თუ ექვს თამაშში მივიღე მონაწილეობა. მერედა, ყოველ დღე ვარჯიში, როდესაც იცი, რომ შემადგენლობაში მაინც ვერ მოხვდები, როგორია? მოკლედ, ვითარება ძალიან რთული იყო.



ხავიერ მასკერანო რაფაელ ბენიტესის მადლიერია

თავიდან „ლივერპულში“ ჩამოსულსაც არ მჯეროდა, გზას თუ გავიკაფავდი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ „ლივერპული“ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გუნდია და მეორეც, აქ უკვე იყვნენ მომო სისოკო, სტივენ ჯერარდი და ხაბი ალონსო, ჩინებული ნახევარმცველები. ერთადერთი, რაც მე მმართებდა, თავდაუზოგავად თამაში გახლდათ, მაგრამ ეს უფრო იოლიც გახლდათ, რადგან ვიცოდი, რომ აქ ხალხი პატივს მცემდა. მერე აქ იმიტომაც მიადვილდება, რომ მწვრთნელი ესპანელია და მე მასთან ლაპარაკი შემიძლია, თუმცა ბევრსაც ვერ ვლაპარაკობ, რადგან ის ინგლისურს ანიჭებს უპირატესობას“.

**ბაჩუნა ქედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაკა, რონალდუ, ანრი, მესი, დეკუ — სადღაა ეტოო?
## რონალდინიომ კამერუნელი მოიმდურა


AFP

**რონალდინიოსა** და სამუელ ეტოოს ურთიერთობას იდეალური არ ეთქმის, რადგან „ბარსას“ ბრაზილიელ და კამერუნელ ვარსკვლავებს შორის შავმა კატამ კიდევ ერთხელ გაირბინა, როცა რონალდინიომ ინგლისურ **FOUR FOUR TWO**-ს გამოკითხვაში ეტოო პლანეტის უძლიერეს ფეხბურთელებს შორის არ დაასახელა.

ჟურნალმა „კიჭას“ ასი ფეხბურთელისგან შემდგარი სია გადასცა, რომელთაგანაც ბრაზილიელს 5 საუკეთესო უნდა ამოერჩია. რონიმაც დაასახელა თავისი თანამემამულე კაკა, პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ და სამი თანაგუნდელი: ფრანგი ტიერი ანრი, არგენტინელი ლეო მესი და პორტუგალიელი დეკუ. ეტოო კი, როგორც გითხარით, ოკეანისგაღმელს გამორჩა.

ინტერვიუში რონალდინიომ თავისი არჩევანი ასე ახსნა. მაგალითად, ახალი მეგობრის, ტიერი ანრის შესახებ თქვა, რომ ლონდონის „არსენალი“ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად სწორედ ფრანგმა ფეხბურთელმა აქცია. კაკაზე კი განაცხადა: „მისი შესანიშნავი წინსვლა კარიერაში არ მაკვირვებს, რადგან კაკას თვალყურს ჯერ კიდევ ბრაზილიაში ვადევნებდი და ვიცოდი, რა სიმაღლეებსაც მიაღწევდა. ჩემი ვარაუდი გამართლდა, კაკა სრულყოფილ, დიდებულ მოთამაშედ ჩამოყალიბდა“.

**FOUR FOUT TWO**-მ სხვა ვარსკვლავთა მოსაზრებანიც გამოაქვეყნა მსოფლიოს საუკეთესოთა შესახებ. ფერნანდო ტორესმა ჯერარდი, კაკა, რონალდინიო, ანრი და რუნი აირჩია. რუუდ ვან ნისტელროიმ კი მესი, ბექემი, კაკა, რონალდო და იბრაჰიმოვიჩი. მაიკლ ოუენის აზრით, მსოფლიოს ჩაუქნი წლეულს ანრი, ჯერარდი, რონალდინიო, კაკა და მესი არიან.

ასე რომ, ეტოო მხოლოდ მისმა თანაგუნდელმა როდი დაივიწყა.

**ლადო ხომერიკი**

# გლადიატორის ოცნება

**„რომას“** იმედი ალბერტო აკვილანი არსად წასვლას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ბობოლა კლუბები მისით უკვე დაინტერესდნენ. 23 წლის ნახევარმცველი საუცხოო ფორმაშია, ორ ტურში ორი კოხტა გოლი გაიტანა და მალე კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დაიწყებს მოლაპარაკებას.

„ალბერტო „რომაში“ კიდევ დიდხანს ითამაშებს — განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა ფრანკო ზავალიამ — მას ბევრი პრესტიჟული კლუბი ეპატიჟება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „რომას“ უერთგულებს. ამჟამად აკვილანით დაინტერესებულნი არიან „ბარსელონა“, „ვალენსია“, „ჩელსი“ და „არსენალი“, თუმც ბავშვობიდან „გლადიატორებში“ თამაშზე ოცნებობდა და აქედან წამსვლელი არაა. ეს გუნდი ყოველთვის მის გულში იყო და მალე „რომას“ ლიდერიც გახდება“.

ნახევარმცველი იმედოვნებს, რომ საუცხოოდ დაწყებული საკლუბო სეზონი სანაკრებო დონეზეც გაგრძელდება. იგი „სკუადრა აძურაში“ საფრანგეთთან მატჩისთვის გამოიძახეს.

„მან დაიმსახურა ნაკრების მაისურა — თქვა აგენტმა — ადრევე უნდა ყოფილიყო გუნდში მაგრამ ტრავმება ხელი შეუშალა“.

**ვაჟა ხუციშვილი**


AFP

# მეფე უესლი
## სნეიდერი სამშობლომაც აღიარა

**ესპანეთის** ჩემპიონატში უესლი სნეიდერის ზღაპრული დებიუტი არც ჰოლანდიელ გულშემატკივრებს გამოჰპარვიათ და მით უმეტეს, არც მის თანამემამულე მედიას. ჰოლანდიურმა პრესამ სნეიდერი ქება-დიდებით ცამდე აიყვანა. ბოლო ორი-სამი დღის განმავლობაში ამსტერდამული გაზეთები „რეალის“ ფეხბურთელს ვრცელ სტატიებს უძღვნიან. ჰოლანდიელი ჟურნალისტები აღტაცებულნი არიან სნეიდერის ოსტატობით.

„საოცარ ფეხბურთს თამაშობს“, „ბოლო შეხვედრაში იგი ეფექტური ვარსკვლავი იყო“, „სულ ორი მატჩი ითამაშა და უესლი მადრიდის გმირად იქცა“, ან „უესლი ახლა მადრიდშიც ისეთივე ვარსკვლავია, როგორც ჰოლანდიაში“ — აი, ასეთი იყო ჰოლანდიური გაზეთების სათაურები ჩია ნახევარმცველის შესახებ. ყველაზე მეტი ქება კი სნეიდერმა სპორტული გაზეთის SPORT SPITS-ისგან მიიღო. ამ გამოცემას ჰოლანდიაში ყველაზე მეტი ხალხი კითხულობს.

„მეფური საკმაზი“ — ეწერა SPITS-ის თავფურცელზე, ანუ სნეიდერის ცხარე ბურთაობამ ბერნდ შუსტერის „სამეფო გუნდის“ რეცეპტი უფრო მიმზიდველი და გემრიელი გახადაო. ქვესათაური კი ასეთი გახლდათ: „თითქმის არ გასჭირვებია სნეიდერს, მადრიდის „რეალისთვის“ უპირველესი კაცი რომ გამხდარიყო“.

ხსენებულმა გაზეთმა სნეიდერთან ინტერვიუც გამოაქვეყნა, სადაც ჰოლანდიელი აცხადებს: „სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვარ. სამწუხაროდ, ესპანური ენის არცოდნა იქაური პრესის წაკითხვაში ხელს მიშლის, მხოლოდ სხვათა გადმოცემით, ვიგებ, რას წერენ ესპანელი ჟურნალისტები. მადრიდს უკვე ძალიან შევეჩვიე, ამაში კი დიდი წვლილი რუუდ ვან ნისტელროის მიუძღვის. იგი მამასავით გვერდში დამიდგა და ყველაფერში დამეხმარა“.

კიდევ ერთმა ჰოლანდიურმა გაზეთმა ALGEMEEN DAGBLAD-მა უესლის „ოქროსფეხა“ უწოდა და არიენ რობენს შეადარა: „სნეიდერი ესპანელთათვის ოქროსფეხა ქუდბედიანი საოცრება გამოდგა. ადრე მადრიდის „რეალის“ გულშემატკივრებს ჰოლანდიელთაგან „ბერნაბეუზე“ უფრო არიენ რობენის ხილვა სურდათ, ახლა კი მთელი ესპანური ფანობა უესლი სნეიდერის თაყვანისმცემელია“.

**ლადო ხომერიკი**

# ყველაფერი მიხაელის ბრალია
## ბეკენბაუერმა ბალაკს არჩევანი ახლა დაუწუნა


AFP

ტრავმირებული მიხაელ ბალაკი ლონდონის „ჩელსიმ“ ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანა, რამდენად მიულებელია ეს ყოველივე გერმანიის ეროვნული ნაკრების კაპიტნისთვის? კომენტარს ფრანც ბეკენბაუერი, მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი აკეთებს, რომელთან ინტერვიუც გუშინდელი „ბილდიდან“ გადმოვაქართულეთ


AFP

— ბალაკი „ჩელსიმ“ საჩემპიონთალიგო განაცხადში არ შეიყვანა...

— თუ ეს გადაწყვეტილება ლონდონელებმა მიხაელის გარეშე მიიღეს, მაშინ ეს კარგს არაფერს უნდა ნიშნავდეს მისთვის.

— დარჩა მას რაიმე შანსი „ჩელსიში“?

— დიახ, თუ ის ახლავე მოვა გონს. ვფიქრობ, მან ერთი წლის წინ დაუშვა შეცდომა, როცა ამ კლუბში გადავიდა. ვთქვათ, „მანჩესტერ იუნაიტედში“ რომ გადასულიყო, მისი პოზიცია მყარი და გუნდის სისტემასთან საუცხოოდ შეწყობილი იქნებოდა. იმასვე ვიტყოდი მადრიდის „რეალზეც“. ხოლო „ჩელსიში“ მიხაელს ფრანკ ლამპარდი დახვდა. ასე რომ...

— ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ბალაკმა კლუბი უნდა შეიცვალოს?

— და, სად უნდა წავიდეს? ზამთრამდე ტრანსფერი შეუძლებელია. ვერ წარმომიდგენია, რომ „რეალის“ მწვრთნელ ბერნდ შუსტერს არიენ რობენისა და უესლი სნეიდერის ყიდვის შემდეგ ბალაკისადმი რაიმე ინტერესი კიდევ ჰქონდეს.

— „ბაიერნში“ რომ დაბრუნდეს?

— არა და არა. ვფიქრობ, რომ ამას თვითონ ბალაკი არ ისურვებს, და ჩვენ, გულწრფელად რომ გითხრათ, მიხაელ ბალაკი აღარ გვსურს.

— **ბოლოს მიხაელს როდის ელაპარაკეთ?**

— „ჰანზასთან“ ჩვენი მატჩისას იგი ტრიბუნაზე იჯდა. იმედიანად იყო, სჯეროდა, რომ ოპერაციის შემდეგ მალე ჩადგებოდა მწყობრში.

— **ამჟამად არავინ იცის ზუსტად, როდის შეძლებს იგი თამაშს. გერმანიის საფეხბურთო კავშირი იმედოვნებს, რომ ოქტომბერში, „ჩელსი“ კი, მის დაბრუნებას ნოემბრისთვის გეგმავს...**

— ვუსურვებ, რომ რაც შეიძლება, მალე მოახერხოს მინდორზე დაბრუნება. უცხო თვალს შთაბეჭდილება რჩება, რომ იგი გერმანელ მედიკოსებსა და ინგლისური კლუბის ექიმებს შორის დარბის.

— **შაბათს ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშს თუ დაესწრებით?**

— სამწუხაროდ, ვერა. ქვეყნის მეორე ბოლოს მივემგზავრები — აფრიკის კონტინენტის ნაკრების 50 წლის იუბილეზე სამხრეთ აფრიკაში. შემდეგ კი კორეაში 17-წლამდელების ფინალს უნდა დავესწრო და ბოლოს შანხაიში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნას.

— **ანუ კვლავ მსოფლიო ტურნე, როგორც 2006 წლის მუნდიალის წინ?**

— ჩვენ გვსურს კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონატი ჩავატაროთ გერმანიაში — 2011 წლის ქალთა მსოფლიო პირველობას ვუმასპინძლოთ. პერუ, კანადა და ავსტრალია ძლიერი მეტოქეები არიან ამ მხრივ. ასე რომ, ჩვენც უნდა გავაკეთოთ რამე.

# ჯოვანის კონტრაქტი



AFP

„ბარსელონამ“ ჯოვანი დოს სანტოსის საქმე, რაც შეიძლება, მალე უნდა მოაგვაროს. მოგეხსენებათ, ჯოვანი ბრაზილიელი ექსფეხბურთელის ზიზინიოს შვილია და თან ევროკავშირელი — მექსიკის და ესპანეთის პასპორტებს ფლობს. 18 წლის ფორვარდმა წლეულს „გამპერის თასის“ მატჩში ითამაშა მილანის „ინტერთან“, იტალიელებს გოლი გაუტანა, პენალტიც მოინადირა და დიდსაფეხბურთო ვეშაპთა ყურადღებაც მიიპყრო. დოს სანტოსის ყიდვას „ჩელსი“ აპირებს, რომლის თავკაცი ჟოზე მაურინიუ თავის დროზე „ბარსელონას“ სამწვრთნელო შტაბის წევრი იყო.

რომან აბრამოვიჩის „ჩელსის“ რომ კარგი მადა აქვს, ყველას მოეხსენება. ლონდონელები ჯოვანი დოს სანტოსის წარმომადგენელს, ცნობილ საფეხბურთო აგენტ ჟორჟე მენდეშს დაუკავშირდნენ და სარფიანი გარიგება შესთავაზეს. თუმცა, სეუ მენდეშმა უარი განაცხადა.

ჯოვანის კატალონიურ გრანდთან კონტრაქტით 2010 წლამდე უწევს თანამშრომლობა. მისი „ბარსელონადან“ გამოსყიდვის თანხა კი მხოლოდ 30 მილიონი ევროა. ალბათ ადვილად წარმოიდგენთ, იმ ჯიბის ფულს „ჩელსი“ რა სილაღით გაიმეტებს. ამიტომაც, კატალონიური გუნდის პრეზიდენტი ხუან ლაპორტა მალე ჯოვანი დოს სანტოსთან ახალი კონტრაქტის დადებას აპირებს, რომლის მიხედვითაც მექსიკელის გამოსასყიდი თანხა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

თავად ნორჩი ვარსკვლავი ახლა მექსიკაშია, სანაკრებო მატჩისთვის ემზადება და აცხადებს, რომ მისი მიზანი „ბარსელონაში“ დარჩენაა. დღევანდელი კონტრაქტის მიხედვით, „კამპ ნოუზე“ ჯოვანი დოს სანტოსის წლიური ჯამაგირი 600 ათას ევროს შეადგენს.

**ლადო ხომერიკი**

# ატლეტიკოს თურმე დეკუ უნდოდა



AFP

**მადრიდის** „ატლეტიკო“ ხუან რომან რიკელმეს შეძენას აპირებდა, თუმცა საბოლოოდ „ათლეტებმა“ არგენტინელის ყიდვაზე ხელი აიღეს. იქამდე კი „ვისენტე კალდერონის“ გუნდის სატრანსფერო სამიზნეზე „ბარსელონას“ პორტუგალიელი დეკუ გახლდათ. მადრიდში ამ ტრანსფერს უფრო დადებითად აფასებდნენ, ვიდრე რიკელმეს გუნდში მიყვანის შესაძლებლობას. არგენტინელის თაობაზე „ატლეტიკოში“ კამათობდნენ, გუნდის თავკაცობა ბანაკებად იყო დაყოფილი და ზოგს რიკელმეს მისვლა გულით სურდა, ზოგსაც — არა. აი, „ბარსელონას“ ნახევარმცველზე კი ყველა ერთ აზრზე იყო — პრეზიდენტიც, სპორტული დირექტორიც და მწვრთნელიც დეკუს ყიდვის მომხრენი იყვნენ.

„ატლეტიკოს“ პატრონმა მიგელ ანხელ ხილმაც ბევრჯერ განაცხადა, თუ „ბარსელონადან“ რომელიმე ფეხბურთელს ვიყიდით, ეს აუცილებლად დეკუ იქნებაო. მერე კი გადაწყვეტილება შეცვალეს და „ატლეტიკოს“ თეთრ-ალისფერ ფორმაშიც ექსბარსელონელი ტიაგო მოტა გამოეწყო.

არადა, დეკუს შემატება ძალიან უნდოდათ. „ატლეტიკოში“ ვარაუდობდნენ, რომ პორტუგალიელი ხავიერ აგირეს გუნდის ნახევარდაცვის ბურჯი გახდებოდა. თუმცა მოლაპარაკება დეკუს თაობაზე „ბარსას“ პრეზიდენტის ხუან ლაპორტასა და სპორტული დირექტორის ჩიკი ბეგირისტაინის უარის შემდეგ ჩაიშალა.

საბოლოოდ, რიკელმეც „ვილიარეალში“ დარჩა და „ათლეტებმა“ ორი საოცნებო კაციდან ვერც ერთი ვერ იყიდეს. დეკუს კი „ბარსელონას“ მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი გუნდისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფეხბურთელად თვლის. ეგაა, მწვრთნელმა პორტუგალიელი ჩემპიონატის პირველ ორ ტურში მოედანზე მხოლოდ შეცვლაზე შეუშვა.

**ლადო ხომერიკი**

# ლა რომარედა 50 წლისაა

**შაბათს**, 8 სექტემბერს ზუსტად 50 წელი შესრულდება „სარაგოსას“ არენის „ლა რომარედას“ ინაუგურაციიდან. ამ სტადიონს ნახევარი საუკუნის განმავლობაში არაგონული გუნდის დიდებისა და დაცემის ეპიზოდები უკავშირდება.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში სარაგოსას მერმა ლუის გომეს ლაგუნამ ახალი სტადიონის აშენება გადაწყვიტა. ძველი არენა, „ელ ტორერო“ საკმარისად ძველი და მცირე იყო (მხოლოდ 20 ათას მაყურებელს იტევდა), რათა არაგონელებს იქ ფრთები ლაღად გაეშალათ. გომეს ლაგუნას დაწყებული საქმე კი მომდევნო მერმა და „სარაგოსას“ ისტორიაში კლუბის ერთ-ერთმა სახელოვანმა პრეზიდენტმა სეზარეო ალიერტამ გააგრძელა და წარმატებითაც დააგვირგვინა.

სტადიონის მშენებლობას 1956 წლის 19 სექტემბერს ჩაეყარა საფუძველი და ოფიციალურად 1957 წლის 15 აგვისტოს დასრულდა. სადღეისოდ „ლა რომარედას“ არენა 34, 500 გულშემატკივარს იტევს.

**ლადო ხომერიკი**

სევილია საჩემპიონთალიგო ციებ-ცხელებამ აიტანა. ანდალუზიური კლუბის ფეხბურთელები და გულშემატკივრები ევროპის უძლიერეს გუნდებთან შერკინების იდეით წინასწარ ტკბებიან. თან „სევილიის“ მიერ ბოლო მატჩებში ნაჩვენები დიდსაფეხბურთო დონე ინჩასებს გულს უხარებს — ჯგუფური ეტაპის მეტოქეების, „არსენალის“, პრაღის „სლავიასა“ და ბუქარესტის „სტიაუასი“ მათ არ ეშინიათ

# სევილიასთვის ლიგა არც ისე რთულია



ხუანდე რამოსი

**გუნდის** მწვრთნელი ხუანდე რამოსი კი ეიფორიას არ აჰყოლია: „ის, რომ მეტოქეები ჩვენს სიძლიერეს პატივს სცემენ, ძალიან კარგია, მაგრამ ამან არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ „სევილია“ ჯგუფიდან გაღწევას იოლად, დამატებითი ძალისხმევის გარეშე მოახერხებს. ჩემპიონთა ლიგაზე ყველა მატჩი რთულია. წარმოიდგინეთ, თუ „სევილიას“, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპიდან ამსტერდამის „აიაქსი“ გამოთიშა, ყველაზე სუსტ მოწინააღმდეგედ ჩავთვლით, მაშინ ძლიერად ვინდა უნდა შევაფასოდ? ჯგუფში „სევილიას“ ფავორიტობაზე წინასწარ ლაპარაკისგან თავს შევიკავებ. შეიძლება, პირველი ადგილი დავიკავოთ, შეიძლება ბოლოც — გააჩნია, მოედანზე როგორ გავირჯებით“ — განაცხადა რამოსმა.

„სევილიას“ ამასწინათ „არსენალის“ თავკაცმა არსენ ვენგერმა ბრწყინვალე გუნდი უწოდა და ხუანდეს შეგირდებიც ძალიან აქო. თუმცა რამოსში ზედმეტი აღტაცება არც ფრანგის საქებარ სიტყვებს გამოუწვევია: „ვენგერს სხვათა შექება არ სჩვევია და მის მიერ „სევილიას“ კარგად მოხსენიებასაც ძალიან ვაფასებ, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლიგა ურთულესი ტურნირია, რომელიც ფიზიკურად და მორალურად დაღლას უეფას თასის გათამაშებაზე მეტად იწვევს. ყოველ შემთხვევაში, ვეცდებით, გულშემატკივრები არ დავაღალატოთ“.

საბრალო ანტონიო პუერტას უეცარმა სიკვდილმა კი სევილიურ გუნდებს შორის ზავი ჩამოაგდო. „სევილიასა“ და „ბეტისის“ პრეზიდენტებმა, დელ ნიდომ და რუის დე ლოპერამ ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება გააფორმეს და ამით ძველ მოსისხლეთა შორის მშვიდობამ დაისადგურა. ხუანდე რამოსსაც, რა თქმა უნდა, სურს, რომ ამ მშვიდობამ, რომელიც ერთმანეთში მეომარ გუნდებს ძალიან ძვირად დაუჯდათ, რაც შეიძლება, დიდხანს იარსებოს: „ვინატრებდი, რომ „სევილიას“ და „ბეტისის“ მმართველთა და გულშემატკივართა ქცევა სამომავლოდაც ისეთივე დარჩეს, როგორიც დღესაა. ცხადია, ორივე გუნდის წარმომადგენლები სტადიონზე მხარს თავისიანებს დაუჭერენ, მაგრამ მოხარული ვიქნები, ურთიერთპატივისცემის ტრადიცია თუ გაგრძელდება“.

შეგახსენებთ, რომ „ბეტისსა“ და „სევილიას“ შორის მოსისხლეობას ხუანდე რამოსი კინაღამ შეეწირა, მეტოქე გუნდის ვაიგულშემატკივარმა დერბისას ბოთლი ესროლა თავში და მწვრთნელი ამქვეყნად ძლივს მოაბრუნეს.

**ლადო ხომერიკი**

# მიატოვიჩმა კაპელო გაიხსენა

**ფაბიო კაპელოს** მადრიდის „რეალი“ ზაფხულში დაატოვებინეს, მაგრამ ესპანეთში პრეზიდენტ რამონ კალდერონის საკამათო გადაწყვეტილებაზე დღესაც ბევრს საუბრობენ და ამ თემაზე დებატები, ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება.

„სამეფო თეთრების“ ახალ მწვრთნელ ბერნდ შუსტერს პრიმერადივიზიონში ჯერ თავი არ შეურცხვენია, თუმც მადრიდში მაინც აინტერესებთ, ღირდა კი გუნდიდან გასულ სეზონში ნანატრი ჩემპიონობის მომტანი კაპელოს გაშვება?

გუშინწინ შუსტერისა და კაპელოს შესახებ „ონდა სეროს“ ჟურნალისტთან კასტილიური გრანდის სპორტულმა დირექტორმა, პრედრაგ მიატოვიჩმა, ისაუბრა და აღნიშნა, რომ „რეალმა“ სამწვრთნელო ცვლილებების თაობაზე სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

ბოლო წლების ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ქართველმა კალათბურთელმა, ეროვნული გუნდის უცვლელმა კაპიტანმა და ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩის ჩამტარებელმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. ფინეთთან 2 სექტემბერს გამართული მატჩი ბოლო იყო მის სანაკრებო კარიერაში. ვახტანგ ნაცვლიშვილი ეროვნული გუნდიდან ისე მიდის, რომ სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია. ეს პირად მიღწევებს არ ეხება, ვატო დღემდე რჩება ჩვენი გუნდის ბომბარდირად, ისაა ნაკრების პირველი ოფიციალური მატჩის მონაწილე და პირველი ქულების მომხვეჭი, თუმცა გუნდური წარმატებები დიდად არ დაეკვეხნება. თუნდაც ნაკრების ბოლო საკვალიფიკაციო ციკლი ავიღოთ, რომელშიც კენ შილდსის გუნდმა მიზანს ვერ მიაღწია და B დივიზიონში ჩარჩა. როცა სახელიანი მოთამაშე სანაკრებო კარიერას ასრულებს, უპრიანია, წარსულზე ესაუბრო, ტკბილ-მწარე ამბები გაახსენებინო, თუმცა დღეს ჩვენს ეროვნულ გუნდში ისეთი სიტუაციაა, ვამჯობინეთ, პირადულზე ლაპარაკი მომავლისთვის გადაგვედო და უფრო საჭირბოროტო თემებზე გაგვემახვილებინა ყურადღება. ეს ინტერვიუ ვატოს რამდენიმე დღის წინ ჩამოვართვით, მაგრამ მისივე თხოვნით, დღეს გთავაზობთ. მან იცოდა, რომ საქართველოს ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავიდოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც გვთხოვა, როცა ამ ამბავს წერტილი დაესმება, ინტერვიუ მერელა გამოაქვეყნეთო. გუშინწინ შვეიცარიამ რუმინეთს მოუგო და შილდსის გუნდის ბედი საბოლოოდ გაირკვა. ჰოდა, ჩვენც გთავაზობთ ნაკრების ყოფილი წევრის და კაპიტნის ნაუბარს, სადაც ის წარუმატებლობის კონკრეტულ მიზეზებზე საუბრობს...

— ძალიან კარგი შანსი გვქონდა, რომ ახლა მაინც გადავსულიყავით A დივიზიონში, მაგრამ დასანანი მატჩი წავაგეთ ისლანდიასთან.

**— ისლანდიასთან როცა აგებს გუნდი, მას A დივიზიონში თამაშის პრეტენზია ალბათ არ უნდა ჰქონდეს. როგორ ფიქრობ, იმსახურებდა საქართველოს ნაკრები ელიტაში გადასვლას?**

— ვიმსახურებდით. როცა გუნდში ფაჩულია, სანიკიძე, ცქიტიშვილი, ნაცვლიშვილი, ბოისა, მარკოიშვილი და სხვა მაღალი კლასის მოთამაშეები გყავს, A დივიზიონში თამაშს ულაპარაკოდ იმსახურებ. სხვა საქმეა, როგორ უნდა მიაღწიო ამ მოთამაშეებით წარმატებას. მიზეზები არ გველევა, ხან რას ვაბრალებთ წარუმატებლობას და ხან — რას. ახლაც იყო წაგების კონკრეტული მიზეზი და ეს გახლდათ მწვრთნელი — კენ შილდსი.

**— ეს სპეციალისტი საკმაოდ კარგი ავტორიტეტით სარგებლობს საკალათბურთო სამყაროში და რატომ ჩვენ არ გამოგვადგა?!**

— კი, ბატონო, შილდსს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს და ადრე გარკვეული წარმატებებისთვისაც მიუღწევია, მაგრამ საკუთარი თვალით რაც ვნახე, როგორ დაგვიჩემო მისი კარგი მწვრთნელობა. იყო დრო, მე ერთ საჯარიმოსთან რომ დავკრავდი ფეხს, ლამის მეორემდე ვხტებოდი, 20 ქულის ჩაგდება ჩემთვის მზესუმზირის ჭამასავით იყო, მაგრამ ახლა... ყველაფერს თავისი დრო აქვს.

**— კონკრეტულად, რაში შეცდა მწვრთნელი?**

— მიზეზი საკმაოდ ბევრია, რომელი ერთი ვთქვა...

**— თუნდაც ის მატჩი გაიხსენე, რომელშიც ჯგუფიდან გასვლის შანსი, ფაქტობრივად, დაიკარგა...**

— ისლანდიაში შილდსმა ალბათ კარიერის უცუდესი მატჩი იმწვრთნელა. მანამდეც და ფინეთთან შეხვედრამდეც ის მთელ შემადგენლობას მეტნაკლებად ტვირთავდა, ისლანდიაში კი თამაშის სიმძიმე 6 კაცზე გადაატარა. ეს არ იყო მართებული. არ ვიცი, რა დაემართა მას იმ თამაშში, მაგრამ ჯიუტად რომ არ ცვლი ცუდად მოთამაშე კალათბურთელებს, ბოლო წუთამდე რომ თვალდახუჭული ენდობი თავიდანვე შერჩეულ ხალხს, ეს არასწორია. ვფიქრობ, აუცილებლად იმსახურებდა თუნდაც მცირე სათამაშო დროს ლაშა გამყრელიძე რომელმაც მოსამზადებელ პერიოდში საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი. იგივე ითქმის კოტე ტულუშზე, დავით უგრეხელიძესა და ზვიად ბაბიაშვილზე. ეცადა, შეეყვანა ახალი მოთამაშე, მოესინჯა ნიადაგი და თუ არ გაამართლებდა, გულშემატკივარს მაინც არ გაუჩნდა სალაპარაკო. თუნდაც ბოლო წამები ავიღოთ, როცა მეტოქე საჯარიმოს ესროდა და ყველამ იცოდა, რომ აცილებდა. ამ დროს მოედანზე, რაც შეიძლება, მეტი მაღალი მოთამაშე უნდა შეიყვანო, რადგან ერთადერთი მიზანი გამოძრავებს — მეტოქეს ბურთი არ მოახსნევინო. როცა მეტოქემ ესროლა, ფაჩულიას და ვოვა ბოისას გვერდით ვინ იდგა ფარქვეშ? მანუჩარ მარკოიშვილი, რომელიც მაგარი მოთამაშეა, მაგრამ ჯობდა, მის მაგივრად ვინმე ტანმაღალი შეეყვანა მწვრთნელს.

**— იმ მომენტში დიდი არეულობა მოხდა და მეტოქემ ბურთი შემთხვევით, არაერთი რიკოშეტის შემდეგ მოიპოვა...**

— მთავარი ეგაა, რომ მანამდე საქმე არ უნდა მიეყვანა. და თუ მიიყვანე, ეცადე, მის გამოსწორებას. თუნდაც მე რომ ვმდგარიყავი ფაჩულიას გვერდით, ხომ უფრო დიდი შანსი იყო, ეს არ მომხდარიყო. მე აქ მწვრთნელის არასწორ ტაქტიკაზე ვლაპარაკობ და არა იმაზე, თუ როგორ ვერ მოვხსენით უმნიშვნელოვანესი ბურთი.

**— შენი აზრით, შილდსმა რატომ არ მისცა შანსი სათადარიგო მოთამაშეებს?**

— არ ვიცი, მე მასთან ამაზე არ მილაპარაკია. თუმცა თამაშის შემდეგ პირდაპირ ვუთხარი, ეს მატჩი შენ წააგე-მეთქი. მას ჰყავდა ფავორიტი მოთამაშეების გუნდი, რომელსაც თვალდახუჭული ენდობოდა და მე ამ გუნდში არ შევდიოდი. ამიტომაც ალბათ არ ეწყინება ჩემი ეს კრიტიკა — თანაც ჩემგან, ნაკრების ყოფილი კაპიტნისგან. ვფიქრობ, ისლანდიაში შილდსი პირადად დაისაჯა თავისი გაუმართლებელი ტაქტიკის გამო, თუმცა ამით მან მთელი ნაკრები აზარალა.

**— არაერთხელ გაგვიგია, რომ კომბინაციების 90 პროცენტი ფაჩულიაზე იყო აგებული და ასეთ მნიშვნელოვან მოთამაშეზე შილდსმა ალბათ ვერ თქვა უარი...**

— ყველა მატჩში, განსაკუთრებით ისლანდიასთან და ფინეთთან, მეტოქე სამი კაცით იჭერდა ფაჩულიას. ელემენტარული ლოგიკაა, გამოეყვანა მის ნაცვლად სხვა და აღარ მივიდოდა ახალშემოსულზე სამი დამცველი. ყოველ შემთხვევაში, მას ეს უნდა ეცადა მაინც. რატომ ვერ ჩააგდო მარკოიშვილმა ისლანდიაში ბოლოს ორი სამქულიანი? არა იმიტომ, რომ ის ცუდი მსროლელია, არამედ დაღლილი იყო. ჩემი აზრით, მანუ ცოტა ხნით უნდა გაეყვანა ბოლო მეოთხედში და დასვენებული რომ შემოვიდოდა, აუცილებლად ჩააგდებდა და აღარც წავაგებდით.

**— წუთშესვენებებზე რას გეუბნებოდათ შილდსი?**

— არ მინდა მთლად დეტალებში ჩაღრმავება. ერთს ვიტყვი, რომ მას დამოუკიდებლად მართებული გადაწყვეტილებების მიღება უჭირდა. ერთ-ერთ მატჩში მიჯრით სამჯერ დავკარგეთ ბურთი და შილდსი დაიბნა, ეტყობოდა, რომ არ იცოდა, რა დაუპირისპირებინა მეტოქისთვის. სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა ლაშა გამყრელიძემ რომელიღაც კომბინაციის აღმნიშვნელი ჟესტი უჩვენა მწვრთნელს. შილდსიც ეგრევე მოედნისკენ შეტრიალდა და ჩვენებს ანალოგიური ჟესტი უჩვენა, ეს კომბინაცია გაითამაშეთო. ამით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი.

**— რას იტყვი ზაზა ფაჩულიას განცხადებაზე, ნაკრებში დამაკმაყოფილებელი პირობები არ იყო და ფორმიდან იმიტომ ამოვვარდიო...**

— ზაზამ ეს კონკრეტულად რაზე თქვა არ ვიცი, მაგრამ მე რომ ეგ მეთქვა, პირველ რიგში, მწვრთნელის არაკომპეტენტურობას ვიგულისხმებდი.

**— და პირობებზე რას იტყვი — სავარჯიშოზეც და ყოფითზეც...**

— ალბათ ცოტა უკეთეს პირობებს ვიმსახურებდით. რაც შეეხება საწვრთნელ პირობებს, ნამდვილად არ იყო იდეალური. ის კი არა, დისციპლინა ნულს უტოლდებოდა. მე, როგორც კაპიტანი, თავიდან ვცდილობდი, ვარჯიშებზე წესრიგის დამყარებას, ერთი-ორჯერ ამის გამო შელაპარაკებაც მომიხდა ზოგიერთთან, მაგრამ მერე მივხვდი, რომ აზრი არ ჰქონდა არაფერს — მწვრთნელი იყო ძალიან ლმობიერი და მოთამაშეებიც ხშირად თავიანთ ნებაზე იყვნენ მიშვებულნი. ვარჯიშის წინ შილდსი ყველას ეკითხებოდა, დღეს რა გავაკეთოთო. ზოგი რას მოითხოვდა, ზოგიც — რას. მე ვუთხარი, თუ მწვრთნელი ხარ, თავად უნდა განსაზღვრო, რა არის გასაკეთებელი და ჩვენ არ უნდა გვეკითხებოდე, მოთამაშეებს, შეიძლება, პლაჟზე წამოწოლა უნდოდეთ-მეთქი.

**— ნიკა ცქიტიშვილის ისლანდიაში არწაყვანაზე რას იტყვი?**

— ვლადიმერ ბოისაც რომ არ წაეყვანა, არაფერი იქნებოდა არც საწყენი და არც საპრეტენზიო. არც ერთი მათგანი არ ყოფილა ნაკრებთან, ორივე ერთნაირად მოუმზადებელი იყო, მაგრამ ბოისამ 30 წუთზე მეტი ითამაშა ისლანდიაში, ცქიტიშვილი კი საერთოდ არ წაიყვანეს. ეს არასამართლიანია.

**— შენი აზრით, ახლა რა უნდა გაკეთდეს?**

— შიდაგუნდური დაპირისპირებები და ერთმანეთისკენ ხელის გაშვერა არ წაადგება ქართულ კალათბურთს. წავაგეთ და ქომაგებს გული ვატკინეთ. მე პირადად ბოდიშს ვუხდი მათ, ალბათ მომავალ ციკლში მაინც მოვახერხებთ A დივიზიონში გადასვლას.

**— გული არ გწყდება, რომ ეს უშენოდ მოხდება?**

— რა ვქნა, ჩემი დრო წავიდა. მინდოდა, ნაკრების ბოლო მატჩში მოედანზე ბოლომდე ვყოფილიყავი, მაგრამ შილდსმა მწარე უარი მითხრა. როცა ფინეთთან 77:71 ვიგებდით და დასრულებამდე წუთზე ოდნავ მეტილა რჩებოდა, მწვრთნელს ვთხოვე, შემიყვანე, სანაკრებო კარიერას ვამთავრებ-მეთქი, მაგრამ... მინდა, ეს ინტერვიუ ინგლისურად დაიწეროს, რათა შილდსმა წაიკითხოს და იგრძნოს დანაშაული. იმედია, მას გადაუთარგმნიან.

**— საკლუბო კარიერასაც ხომ არ ასრულებ?**

— არა, ერთი სეზონი კიდევ ვითამაშებ, მაგრამ სად, ჯერ არ ვიცი.

ირაკლი პირტახია

---

**ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში**
**3–16 სექტემბერი**



მატიაშ სმოდიშმა სლოვენიას საფრანგეთი დაამარხებინა

### A ჯგუფი

**ისრაელი 87:83 სერბეთი**
16:23 20:22 25:15 26:23
**ისრაელი:** გრინი (26 ქულა, 12 მოხსნა), ჰალპერინი (17)
**სერბეთი:** გუროვიჩი (19), მილიჩიჩი (18)

**რუსეთი 61:53 საბერძნეთი**
15:8 10:14 19:16 17:15
**რუსეთი:** ჰოლდენი (17), კირილენკო (12 ქულა, 17 მოხსნა)
**საბერძნეთი:** სპანულისი (12), ზისისი (9)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 224:174 | 6 |
| საბერძნეთი | 3 | 2 | 1 | 197:194 | 5 |
| ისრაელი | 3 | 1 | 2 | 209:249 | 4 |
| სერბეთი | 3 | 0 | 3 | 212:228 | 3 |

### B ჯგუფი

**პორტუგალია 77:67 ლატვია**
17:9 11:15 27:20 22:23
**პორტუგალია:** სანტოსი (14), ფერნანდესი (14)
**ლატვია:** იანიჩენოკსი (21), ბიედრინსი (14 ქულა, 18 მოხსნა)

**ხორვატია 85:84 ესპანეთი**
21:28 19:22 27:15 18:19
**ხორვატია:** პოპოვიჩი (18), ტომასი (13)
**ესპანეთი:** გასოლი 26), ფერნანდესი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 252:237 | 5 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 259:218 | 5 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 2 | 201:239 | 4 |
| ლატვია | 3 | 1 | 2 | 229:247 | 4 |

### C ჯგუფი

**ლიტვა 84:80 გერმანია**
30:17 19:15 19:25 16:23
**ლიტვა:** დ. ლავრინოვიჩი (18), იასკევიჩიუსი (15 ქულა, 10 პასი)
**გერმანია:** ნოვიცკი (28), ოკულაია (14)

**თურქეთი 80:72 ჩეხეთი**
28:15 18:16 13:18 21:23
**თურქეთი:** თურქოღლუ (22), ოქური (16)
**ჩეხეთი:** ბარტონი (22), ბენდა (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 3 | 3 | 0 | 265:224 | 6 |
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 242:211 | 5 |
| თურქეთი | 3 | 1 | 2 | 198:237 | 4 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 3 | 225:258 | 3 |

### D ჯგუფი

**სლოვენია 67:66 საფრანგეთი**
16:18 15:21 21:17 15:10
**სლოვენია:** დ. ლორბეკი (15), სმოდიში (15)
**საფრანგეთი:** პარკერი (25), ტურიაფი (13)

**იტალია 79:70 პოლონეთი**
14:16 27:19 23:22 15:13
**იტალია:** ბელინელი (20), ბარნანი (13)
**პოლონეთი:** პლუტა (15), ვოიჩიკი (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 3 | 3 | 0 | 206:186 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 209:195 | 5 |
| იტალია | 3 | 1 | 2 | 209:208 | 4 |
| პოლონეთი | 3 | 0 | 3 | 188:223 | 3 |

### II ჯგუფური ეტაპი

### E ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 151:109 | 4 |
| ხორვატია | 2 | 0 | 2 | 175:152 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 166:141 | 3 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 1 | 129:127 | 3 |
| ისრაელი | 2 | 0 | 2 | 122:166 | 2 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 2 | 124:172 | 2 |

### F ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 2 | 2 | 0 | 170:149 | 4 |
| სლოვენია | 2 | 2 | 0 | 136:134 | 4 |
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 159:133 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 135:129 | 3 |
| იტალია | 2 | 0 | 2 | 130:138 | 2 |
| თურქეთი | 2 | 0 | 2 | 118:165 | 2 |

# RUGBY WORLD CUP 2007

## საფრანგეთი. 7 სექტემბერი – 20 ოქტომბერი

# ...ჯერარნახულს, ჯერარგაგონილს, ფრანგულს, ქართულით დამშვენებულს...

რაგბიში მსოფლიოს მეექვსე თასი აქამომდელ გათამაშებებთან შედარებით, უფრო ზორბა და ორგანიზებული რომ იქნება, აქედანვე ცხადია. რა-რა და რაგბიში ჭიპმოჭრილ ფრანგებს ცერემონიებისა და შოუების დადგმა-მოწყობა არ ეშლებათ. გახსნის ცერემონია ულამაზეს 80-ათასიან „სენ დენიზე" გაიმართება და ყველა ბილეთი ერთი თვის წინ უკვე გაყიდული იყო. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ თვენახევრიანი და 48-მატჩა რაგბობის ზეიმზე უკვე 1,2 მილიონი ბილეთია გაყიდული, მატჩების ტელეგადაცემებს კი ოთხ მილიარდამდე მაყურებელი იხილავს. გახსნის ცერემონიალში სარეკორდოდ ბევრი, ორი ათასი მოხალისე და ორასკაციანი საგანგებოდ მომზადებული ჯგუფი მიიღებს მონაწილეობას.

ორგანიზატორები ცერემონიის დეტალებს ასაიდუმლოებენ, ერთს კი გვპირდებიან — უნახავს ნახავთო. ტურინირი მასპინელი საფრანეთის და უტეხი არგენტინის ჯახით იწყება. ქართული ჰიმნი კი 11 სექტემბერს აჟღერდება — წლევანდელი პირველი სამსოფლიოსთასო ოფლსა და სისხლს ქართველი „ლელოები" საფრანგეთთან ნაომარ არგენტინელ „პუმებთან" დაღვრიან... აქამდე თუ შინ ვისხედით და გუნდურ სახეობებში „დვიჟოკის" შუქზე გადამთიელებს ვქომაგობდით, ახლა ვუქომაგოთ ქართველებს და ვინერვიულოთ მათ აგორებულ მოლზე, დაძრულ შერკინებაზე, მარაოსავით ჩათამაშებულ ბურთსა და... ჩვენების ლელოებზეც და ღმერთმა ქნას, პირველ სამსოფლიოსთასო გამარჯვებაზეც...



AFP

## ჯგუფური ეტაპი

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | 23.00 | საფრანგეთი — არგენტინა (**D**) | პარიზი |
| 8 სექტემბერი | 15.45 | ახალი ზელანდია — იტალია (**C**) | მარსელი |
| 8 სექტემბერი | 17.45 | ავსტრალია — იაპონია (**B**) | ლიონი |
| 8 სექტემბერი | 20.00 | ინგლისი — აშშ (**A**) | ლანსი |
| 9 სექტემბერი | 16.00 | უელსი — კანადა (**B**) | ნანტი |
| 9 სექტემბერი | 18.00 | სამხრეთ აფრიკა — სამოა (**A**) | პარიზი |
| 9 სექტემბერი | 20.00 | შოტლანდია — პორტუგალია (**C**) | პარიზი |
| 9 სექტემბერი | 22.00 | ირლანდია — ნამიბია (**D**) | ბორდო |
| 11 სექტემბერი | 22.00 | არგენტინა — საქართველო (**D**) | ლიონი |
| 12 სექტემბერი | 16.00 | აშშ — ტონგა (**A**) | მონპელიე |
| 12 სექტემბერი | 20.00 | იაპონია — ფიჯი (**B**) | ტულუზი |
| 12 სექტემბერი | 22.00 | იტალია — რუმინეთი (**C**) | მარსელი |
| 14 სექტემბერი | 23.00 | ინგლისი — სამხრეთ აფრიკა (**A**) | პარიზი |
| 15 სექტემბერი | 15.00 | ახალი ზელანდია — პორტუგალია (**C**) | ლიონი |
| 15 სექტემბერი | 17.00 | უელსი — ავსტრალია (**B**) | კარდიფი (უელსი) |
| 15 სექტემბერი | 23.00 | ირლანდია — საქართველო (**D**) | ბორდო |
| 16 სექტემბერი | 16.00 | ფიჯი — კანადა (**B**) | კარდიფი (უელსი) |
| 16 სექტემბერი | 18.00 | სამოა — ტონგა (**A**) | მონპელიე |
| 16 სექტემბერი | 23.00 | საფრანგეთი — ნამიბია (**D**) | ტულუზი |
| 18 სექტემბერი | 23.00 | შოტლანდია — რუმინეთი (**C**) | ედინბურგი (შოტლ.) |
| 19 სექტემბერი | 22.00 | იტალია — პორტუგალია (**C**) | პარიზი |
| 20 სექტემბერი | 23.00 | უელსი — იაპონია (**B**) | კარდიფი (უელსი) |
| 21 სექტემბერი | 23.00 | საფრანგეთი — ირლანდია (**D**) | პარიზი |
| 22 სექტემბერი | 16.00 | სამხრეთ აფრიკა — ტონგა (**A**) | ლანსი |
| 22 სექტემბერი | 18.00 | ინგლისი — სამოა (**A**) | ნანტი |
| 22 სექტემბერი | 23.00 | არგენტინა — ნამიბია (**D**) | მარსელი |
| 23 სექტემბერი | 16.30 | ავსტრალია — ფიჯი (**B**) | მონპელიე |
| 23 სექტემბერი | 19.00 | შოტლანდია — ახალი ზელანდია (**C**) | ედინბურგი (შოტლ.) |
| 25 სექტემბერი | 20.00 | კანადა — იაპონია (**B**) | ბორდო |
| 25 სექტემბერი | 22.00 | რუმინეთი — პორტუგალია (**C**) | ტულუზი |
| 26 სექტემბერი | 20.00 | საქართველო — ნამიბია (**D**) | ლანსი |
| 26 სექტემბერი | 22.00 | სამოა — აშშ (**A**) | სენტ ეტიენი |
| 28 სექტემბერი | 23.00 | ინგლისი — ტონგა (**A**) | პარიზი |
| 29 სექტემბერი | 15.00 | ახალი ზელანდია — რუმინეთი (**C**) | ტულუზი |
| 29 სექტემბერი | 17.00 | ავსტრალია — კანადა (**B**) | ბორდო |
| 29 სექტემბერი | 19.00 | უელსი — ფიჯი (**B**) | ნანტი |
| 29 სექტემბერი | 23.00 | შოტლანდია — იტალია (**C**) | სენტ ეტიენი |
| 30 სექტემბერი | 17.00 | საფრანგეთი — საქართველო (**D**) | მარსელი |
| 30 სექტემბერი | 19.00 | ირლანდია — არგენტინა (**D**) | პარიზი |
| 30 სექტემბერი | 22.00 | სამხრეთ აფრიკა — აშშ (**A**) | მონპელიე |

## მეოთხედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ოქტომბერი. 17.00 | 6 ოქტომბერი. 23.00 | 7 ოქტომბერი. 17.00 | 7 ოქტომბერი. 23.00 |
| **B1 VS A2 (I)** | **C1 VS D2 (II)** | **A1 VS B2 (III)** | **D1 VS C2 (IV)** |

## ნახევარფინალი

| | |
|---|---|
| 13 ოქტომბერი. 23.00 | 14 ოქტომბერი. 23.00 |
| **I VS II** | **III VS IV** |

## მესამე ადგილისთვის

19 ოქტომბერი
23.00

## ფინალი

20 ოქტომბერი
23.00

RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# RUGBY WORLD CUP 2007

**საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი**

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

# ჰკა მაგათ!

## მიდით. მიაფჭექით, მოსაგები მოიგეთ!

**რამდენიმე** საათიც და სარაგბო საფრანგეთის ულამაზეს დედაქალაქ პარიზში დაიწყება დიდი სანახაობა, რომელსაც საქართველოში და დანარჩენ მსოფლიოშიც მთელი ოთხი წელი ელოდნენ. საფრანგეთი მთელი მონდომებით და „მამლური“ სიამაყით მასპინძლობს მსოფლიოს მეექვსე სარაგბო ჩემპიონატს — ანუ მსოფლიოს თასს, ასეა რაგბიში.



AFP

რაგბის მსოფლიოს თასს თავისი წილი პრეტენზია აქვს. საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატების და ოლიმპიური თამაშების შემდეგ მესამე გაქანების უდიდესი ტურნირია.

ერთი სიტყვით, წინ გველის თვენახევრიანი სანახობა, მაგარი ჯახები, ეშხიანი ლელოები, ლაღი ბურთაობა და ჩვენთვის ყველაზე მთავარი — მსოფლიოს უძლიერეს ოცეულში საქართველოცაა.

საქართველო აღარ არის დებიუტანტი, ოთხი წლის წინ ავსტრალიაში ჩვენმა „ლელოებმა“ უკვე დაამხსოვრეს თავი სრულიად სარაგბეთს. ერთი ეგაა, გადამწყვეტ მომენტში კლოდ სურელისეულ ნაკრების შიგნით რაღაც აიმღვრა და ჩვენებმა ვერ გააკეთეს მთავარი — მათთვის საკბილო ურუგვაისთან დამარცხდნენ და მსოფლიოს თასზე პირველი გამარჯვება ამ თასისთვის გადადეს. ახლა ჩვენებს „საასეთო“ მთავარ მეტოქედ ნამიბია ჰყავთ. აბა, სიკვდილის ჯგუფში საფრანგეთს, ირლანდიასა და არგენტინას რომ ვერაფერს დააკლებენ, ცხადზე უცხადესია. უფრო საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრები გახდება მსოფლიოს ჩემპიონი, ვიდრე „ლელოები“ ამ სამეულს ბუზს აუფრენენ.

ბუზის აფრენა იქით იყოს და, ქართველებს არა აქვთ ჯგუფიდან გასვლის იოტისოდენა პრეტენზიაც. ვთქვით, რომ ჩვენი ჯგუფი სიკვდილისაა და სანამ საფრანგეთი, ირლანდია და არგენტინა ერთმანეთს დაჭამენ, ჩვენებმა უნდა გამოიჭირონ ნამიბია და ისტორიული გამარჯვება მოიპოვონ. ეს იქნება მათი მინიმუმიც და მაქსიმუმიც, თორემ რაგბიში მგლური კანონებია, სუსტი აუცილებლად უნდა დამარცხდეს ძლიერთან. რაგბის ვეშაპებიც პირის ფართოდ გაღებით იმუქრებიან, უნდათ, ერთი ამოსუნთქვით გადაყლაპონ ლიფსიტები.

ჩვენ კი ნაღდად არ გვეეჭვება, რომ „ლელოს“ კაცები ვაგლახად არავის დაელელოვებიან. მით უმეტეს, დღეს საქართველო უფრო მეტია, ვიდრე ოთხი წლის წინ იყო.

ახლა ჩვენები ბევრად გამოცდილები, დაღვინებულები და ფრანგულ კლუბებში გამოწრთობილები არიან. უნივერსალ პირველ ხაზელებს, რომლებიც პირველები შეასკდებიან მეტოქეს და პირველები მიიღებენ დარტყმას, ზურგს ბებერი მორკინალები ვიქტორ დიდებულიძე და გია ლაბაძე გაუმაგრებენ. შერკინების მეორე ხაზს ხარის ძალის პატრონი მამუკა „გულივერა“ გორგოძე და მშვიდი კაპიტანი ილია ზედგინიძე ჩაეცემენტებენ. უკანა ხაზს კი უგამოცდილესი პალიკო ჯიმშელაძე დაალაგებს.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, 11 სექტემბერს, როცა „ლელოები“ წლევანდელი თასის მათთვის პირველ მატჩში მძლავრ არგენტინას დაეჯახებიან. ჩვენ ერთი გვინდა — მიდით, ბიჭებო, და. კაცურად ითამაშეთ!

**ბაჩო სვანიძე**

## ლელოები საფრანგეთში

| სახელი, გვარი | დაბადების თარიღი | წონა | სიმაღლე | თამაში (მს. თასზე) | ლელო (ქულა) |
|---|---|---|---|---|---|
| | **შერკინება** | | | | |
| აქვსენტი გიორგაძე | 1976, 4 ივნისი | 103 | 179 | 47 (4) | 10 (50) |
| გოდერძი შველიძე | 1978, 17 აპრილი | 106 | 177 | 37 (3) | 7 (35) |
| დავით ხინჩაგაშვილი | 1982, 24 ივლისი | 112 | 178 | 14 (0) | 1 (5) |
| დავით ზირაქაშვილი | 1983, 10 ოქტომბერი | 117 | 183 | 13 (0) | 3 (15) |
| ავთანდილ კოპალიანი | 1982, 13 ივნისი | 113 | 182 | 18 (2) | 2 (10) |
| მამუკა მაგრაქველიძე | 1977, 12 აგვისტო | 120 | 190 | 18 (0) | 2 (20) |
| ილია ზედგინიძე (კაპ) | 1977, 20 იანვარი | 112 | 195 | 46 (3) | 13 (65) |
| ვიქტორ დიდებულიძე | 1970, 4 ნოემბერი | 112 | 192 | 42 (3) | 5 (25) |
| მამუკა გორგოძე | 1984, 14 ივლისი | 118 | 196 | 23 (0) | 8 (40) |
| ლევან დათუნაშვილი | 1993, 21 სექტემბერი | 110 | 194 | 18 (0) | 2 (10) |
| ზვიად მაისურაძე | 1980, 28 ოქტომბერი | 97 | 185 | 18 (0) | 3 (15) |
| ილია მაისურაძე | 1977, 31 ივლისი | 98 | 170 | 25 (0) | 1 (5) |
| ბესიკ უდესიანი | 1978, 14 მარტი | 95 | 183 | 26 (0) | 7 (35) |
| რატი ურუშაძე | 1995, 22 სექტემბერი | 100 | 193 | 22 (0) | 3 (15) |
| გიორგი ჩხაიძე | 1981, 19 აგვისტო | 102 | 195 | 20 (3) | 2 (10) |
| გია ლაბაძე | 1973, 21 აგვისტო | 97 | 194 | 45 (2) | 10 (50) |
| | **უკანა ხაზი** | | | | |
| ირაკლი აბუსერიძე | 1977, 25 ნოემბერი | 70 | 174 | 44 (3) | 4 (20) |
| ბიძინა სამხარაძე | 1983, 2 ოქტომბერი | 70 | 170 | 25 (0) | 1 (5) |
| პალიკო ჯიმშელაძე | 1975, 8 ივლისი | 88 | 180 | 56 (4) | 9 (320) |
| მერაბ კვირიკაშვილი | 1983, 27 დეკემბერი | 80 | 180 | 20 (4) | 2 (72) |
| ირაკლი გიორგაძე | 1982, 26 დეკემბერი | 100 | 188 | 27 (3) | 2 (16) |
| რევაზ გიგაური | 1984, 9 მაისი | 93 | 185 | 10 (0) | 0 (0) |
| დავით კაჭარავა | 1985, 16 იანვარი | 75 | 175 | 12 (0) | 1 (5) |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 1980, 24 სექტემბერი | 80 | 178 | 51 (3) | 15 (267) |
| ირაკლი მაჩხანელი | 1981, 18 ივლისი | 90 | 187 | 24 (4) | 9 (45) |
| ოთარ ელოშვილი | 1984, 9 მაისი | 93 | 185 | 10 (0) | 2 (10) |
| გიორგი შკინინი | 1983, 7 მარტი | 70 | 170 | 19 (0) | 4 (20) |
| გიორგი ელიზბარაშვილი | 1984, 21 იანვარი | 84 | 184 | 14 (0) | 0 (2) |
| ბესიკ ხამაშურიძე | 1977, 14 აპრილი | 95 | 195 | 49 (4) | 11 (55) |
| ოთარ ბარკალაია | 1984, 17 თებერვალი | 75 | 175 | 23 (0) | 0 (14) |

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჭეიშვილი

მწვრთნელები: პაატა ნარიმანაშვილი, დავით ჩავლეიშვილი

## საქართველო 2003 წლის მსოფლიოს თასზე

11 ოქტომბერი. პერთი

### ინგლისი 84:6 საქართველო

საქართველო: ხამაშურიძე, კაცაძე (კაპ), ზიბზიბაძე, ი გიორგაძე, ურჯუკაშვილი; ჯიმშელაძე, აბუსერიძე; ჩხაიძე, იაშვილი, ლაბაძე, მჭედლიშვილი, დიდებულიძე, მარგველაშვილი, ა. გიორგაძე, შველიძე

*სათადარიგოები:* ბოლღაშვილი, დადუნაშვილი, ნადირაძე, ხეხელაშვილი, ნიკოლაენკო, კვირიკაშვილი, მაჩხანელი

2 ს: ურჯუკაშვილი, ჯიმშელაძე

19 ოქტომბერი. პერთი

### სამოა 46:9 საქართველო

საქართველო: ხეხელაშვილი, კაცაძე, ზიბზიბაძე, ი. გიორგაძე, ურჯუკაშვილი; ჯიმშელაძე, აბუსერიძე; ზედგინიძე (კაპ), იაშვილი, ლაბაძე, მჭედლიშვილი, ნადირაძე, შველიძე, ა. გიორგაძე, ნიკოლაენკო

*სათადარიგოები:* ბოლღაშვილი, დიდებულიძე, ხამაშურიძე, კვირიკაშვილი, მაჩხანელი, მარგველაშვილი

2 ს: ჯიმშელაძე; 1 ა: ჯიმშელაძე

24 ოქტომბერი. სიდნეი

### სამხრეთ აფრიკა 46:19 საქართველო

საქართველო: მაჩხანელი, ხონელიძე, კაცაძე (კაპ), ელოშვილი, ქავთარაშვილი; ჯიმშელაძე, ი. მოდებაძე; ჩხაიძე, ნიკლაური, ბოლღაშვილი, გუჯარაიძე, დიდებულიძე, მარგველაშვილი, დადუნაშვილი, კოპალიანი

*სათადარიგოები:* აბუსერიძე, ა. გიორგაძე, ხამაშურიძე, ნიკოლაენკო, კვირიკაშვილი, ზედგინიძე

1 ლ: დადუნაშვილი; 1 ზ: ჯიმშელაძე; 4 ს: ჯიმშელაძე (3), კვირიკაშვილი

28 ოქტომბერი. სიდნეი

### ურუგვაი 24:12 საქართველო

საქართველო: მაჩხანელი, ქავთარაშვილი, ზიბზიბაძე, ი. გიორგაძე, ურჯუკაშვილი; ჯიმშელაძე, ი. მოდებაძე; ზედგინიძე (კაპ), იაშვილი, ჩხაიძე, მჭედლიშვილი, გუჯარაიძე, შველიძე, დადუნაშვილი, კოპალიანი

*სათადარიგოები:* ა. გიორგაძე, კაცაძე, ხამაშურიძე, ნიკოლაენკო, კვირიკაშვილი, ნიკლაური

4 ს: ურჯუკაშვილი, კვირიკაშვილი (3)

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

**C ჯგუფი**

საქართველო
საფრანგეთი
არგენტინა
ირლანდია
ნამიბია

## საფრანგეთი

მსოფლიო რეიტინგი: 3

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — ფინალში წააგო ახალ ზელანდიასთან
1991 — მეოთხედფინალში წააგო ინგლისთან
1995 — ნახევარფინალში წააგო სამხრეთ აფრიკასთან, მესამე ადგილისთვის მოუგო იგლისს
1999 — ფინალში წააგო ავსტრალიასთან
2003 — ნახევარფინალში წააგო ინგლისთან, მესამე ადგილისთვის წააგო ახალ ზელანდიასთან

**უკანა ხაზი:** პიერ მინონი, ჟან-ბაპტის ელისალდე, ფრედერიკ მიშალაკი, დავიდ სკრელა, ლიონელ ბიუ, იანიკ ჟოზიონი, დამიენ ტრაი, დავიდ მარტი, კრისტოფ დომინისი, სედრიკ ჰეიმანსი, ვინსენ კლერკი, ორელინ რუჟერი, კლერმონ პუატრენო

**მორკინალები:** პიტერ დე ვილიე, სილვიან მარკონე, ოლივიე მილუ, ჟან-ბაპტის პუ, რაფაელ იბანიესი (კაპ), სებასტიან ბრუნო, დიმიტრი შარჟესკი, სებასტია ნ შაბალი, ფაბიენ პელუ, ჟერომ თიონი, ლიონელ ნალე, სერჟ ბესენი, ჟულიენ ბონარი, იმანოლ არინორდოკი, ტიერი დუსატო, იანიკ ნიანგა, რემი მარტინი

**მწვრთნელი:** ბერნარ ლაპორტი

# ჟამი მამლის ყივილისა



„მამლის დეზი" სებასტიენ შაბალი

AFP

**ულამაზესი** ლანდშაფტები, ისტორიული ქალაქები, საუკეთესო საჭმელი, მოდური ბუტიკები და უნიკალური კულტურა, კაცის გულივით ცვალებადი მარადიული სიყვარულის ქალაქი პარიზი — ეს საფრანგეთია მთელი თავისი ბრწყინვალებით და ამ სილამაზის აღწერა ცხოვრების აზრად აქვთ ქცეული მსოფლიოს საუკეთესო მწერლებს თუ პოეტებს.

მაგრამ საფრანგეთი განა მხოლოდ პოეზია და სინატიფეა? გალთა მიწაზე ვაჟკაცებიც იბადებოდნენ და იბადებიან. ამ ქვეყანაში ზოგი ქალებს ეტრფის და ზოგი რაგბს თამაშობს, თუმცა თავისთავად ერთი მეორეს არ გამორიცხავს. მამლებად წოდებული ფრანგი მორაგბეები ამ გადასარევი სპორტის ისტორიას მუდმივად ალამაზებდნენ გადასარევი ნაკრებით და ინგლისსა და მისი ვასალ-კოლონიების ინგლისურ ერთფეროვნებას გემრიელი ფრანგული ღვინოსავით აზავებდნენ. ახლა ეს ქვეყანა პირველად მასპინძლობს მსოფლიოს თასს.

7 სექტემბრიდან 350 000-ამდე რაგბის გულშემატკივარი საკუთარ თავზე გამოცდის და შეიგრძნობს ამ უცნაური ქვეყნის ხიბლსა და მიმზიდველობას. „ოვალური" სამყაროს ქომაგთა აზვირთებულ ტალღას ყველაფრისმნახველი საფრანგეთი ჩაიხუტებს, ხოლო ვინც ამ მოვარდნილ ცუნამში თავით არ გადახტება და თავდავიწყებამდე ბედნიერებას არ მიეცემა, ცხოვრების საუკეთესო წუთებს და საათებს დაკარგავს.

თვითონ საფრანგეთის ნაკრები ტურნირს საუკეთესო ფორმაში ხვდება. ბერნარდ ლაპორტმა გამძლე, გამოცდილი და ნიჭიერ მორაგბეებით გაწონასწორებული გუნდი შეკრა. ის ძალზე პრაგმატული მწვრთნელია, მკაცრი ხელი უკვე დაატყო „მამლებს" და ეს ამ სეზონში გუნდის დამაჯერებელ ბურთაობაში აისახა.

მსოფლიოს თასებზე „გალებს" მშვენიერი სტატისტიკა აქვთ. 1987 და 1999 წელს გამართულ მუნდიალებზე ნახევარფინალურ შეხვედრებში შესაბამისად, ავსტრალია და ახალი ზელანდია დაუმარცხებიათ და ეს ჯახები მსოფლიოს თასების ისტორიაში საუკეთესოთა შორის ითვლება. მაგრამ „მამლები" ჯერჯერობით მხოლოდ ფინალებში თამაშით ყოყლოჩინობენ, სანატრელ თასს კი ვერა და ვერ დაადგეს დეზიანი ფეხი. ახლა, როგორც ტურნირის მასპინძელებს, საჩემპიონოდ უფრო მეტი შანსები აქვთ. და ერთიც, მუდამ და ყველაფერში ინგლისთან შეტოქებულ ფრანგებს მაგალითი აქვთ წინ: 2003 წელს ინგლისმა პირველად ააცალა თასი სამხრეთელ დევებს და ფრანგებსაც უნდათ სჯეროდეთ, რომ ამას ისინიც შეძლებენ. ჰა ბურთი და ჰა მოედანიო. გახსნით მატჩში კერკეტ არგენტინასთან ბევრი გამოჩნდება.

## ნამიბია

# კრიზისი, კარზისი და შამანები

მსოფლიო რეიტინგი: 25

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — არ მონაწილეობდა
1991 — არ მონაწილეობდა
1995 — არ მონაწილეობდა
1999 — ჯგუფში ჩარჩა
2003 — ჯგუფში ჩარჩა

**1991 წლამდე** ნამიბია სამხრეთ აფრიკას ჰყავდა ოკუპირებული და ამიტომ პირველ ორ მსოფლიოს თასზე არ უთამაშია. სხვათა შორის, ამ ორ ჩემპიონატზე (1987 და 1991) ვერც თავად რასისტულმა სამხრეთ აფრიკამ ითამაშა ქვეყანაში არსებული რეჟიმის გამო.

ისე, სამხრეთაფრიკელთა ოკუპაციამ ნამიბიელებს ერთი სიკეთე მაინც გაუკეთა. უნდოდათ თუ არა, ნამიბიელებმა ოკუპანტების კულტურა და ტრადიციები მაინც აითვისეს, ცხადია, სარაგბოც და აგერ მესამედ მოხვდნენ მსოფლიოს თასზე.

ახლა ნამიბიურ რაგბიში არეულობაა. იქაური რაგბის კავშირის მულატ პრეზიდენტს, დირკ კონრადს მოთამაშეები და მწვრთნელი აუბუნტდნენ. ეს ამბავი გაზაფხულზე მოხდა. კონრადმა ამბოხი მწვრთნელის, იოჰან ფენტერის დათხოვნით ჩაახშო, ურჩ მოთამაშეებს კი დისკვალიფიკაციით დაემუქრა.

ნამიბიას ახლა დევიდ ჰიუსელმანი წვრთნის. თანაშემწედ ტიმოთ ბერკნი, შემდეგ კი სამხრეთ აფრიკის მოქალაქე ვასილ კარზისი დაიქნა. კარზისი 2004 წელს პრეტორიულ „ბლუ ბულზს" ახლდა თბილისურ ტურნეზე და ჩვენს მწვრთნელებს სემინარებიც ჩაუტარა.

კარზისის გარდა ქართველები კიდევ ერთ ბულზელ ნაცნობს ნახავენ. ორმეტრიანი ბიზონივით პირველხაზელი ქაის ლენსინხი ქართველი „ლელოების" უმთავრესი მეტოქის კაპიტანია.

როგორც ყველა აფრიკულ ქვეყანას, ნამიბიასაც თავისი ეგზოტიკური ხიბლი ახლავს.



AFP

საქართველომ ნამიბია წლევულს რუმინეთში უკვე დაამარცხა

**უკანა ხაზი:** მელრიკ აფრიკა, ჰეინი ბოხი, ლუ-ვეინ ბოუცი, ჯონ დროცკი, დუ პრეეც გრობლერი, იუჯინ იანთხესი, ტერტუა ლოსპერი, დეონ მოუტონი, მორნ შრიოდერი, იური ფან ტონდერი, ემილი ვესელსი, რუან ვიტბოი

**მორკინალები:** სკიპერ ბადენჰორსტი, ჟაკ ბურხერი, ბრედლი ლანგენჰოვენი, თინუს დიუ პლესი, იანი დიუ ტოუა, ნიკო ესტერჰუიზენი, ჰუგო ჰორნი, დომინგო კამონგა, ვაკა კაზომბიაზე, ქიის ლენსინხი (კაპ), ჰერმან ლინტველტი, მაიკლ მაკენზი, ჯეიემ მეიერი, ჟაკ ნიუნჰუისი, ჯონი რედელინჰუისი, ჰეინო სენეკალი, პიტ ფან ცული, მარიუს ვიზერი

**მწვრთნელი:** ჰაკიზ ჰუსელმანი

ნამიბიელებს ათასი ჯურის თილისმა აქვთ, მათი მჩხიბავები კი ჩუმად ულოცავენ მეტოქეს, რათა დაასუსტონ. მაგრამ რა უნდა ულოცო საფრანგეთს, არგენტინას და ირლანდიას, მათ სარაგბო ღმერთი ნაღდად არ გაუწყრებათ. წესით, არც საქართველოს უნდა დაემართოს რაიმე ცუდი, რაკი ამ გაზაფხულზე რუმინეთში გამართული სადებიუტო მსოფლიოს ერთა თასზე ქართველებმა მაგრად მიანგრიეს ნამიბია და რა უნდა მოხდეს, ახლა ჩვენებმა მსოფლიოს თასზე პირველი გამარჯვება ვერ მოიპოვონ.

# ირლანდია

მსოფლიო რეიტინგი: 6

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — მეოთხედფინალში ნაგო ავსტრალიასთან
1991 — მეოთხედფინალში წააგო ავსტრალიასთან
1995 — მეოთხედფინალში წააგო საფრანგეთთან
1999 — ვერ გავიდა მეოთხედფინალში
2003 — მეოთხედფინალში წააგო საფრანგეთთან



## ორი ქვეყნის ერთი გუნდი


ბრაინ ოდრისკოლი, რომელსაც სამშობლოში „ღმერთს“ ეძახიან

AFP

**უკანა ხაზი:** აიზეკ ბოსი, ბრაიან კერნი, გორდონ დარსი, გირეჯნ დემფსი, გევინ დაფი, დენის ჰიკი, შეინ ჰორგანი, გორდან მერფი, ბრაიან ოდრისკოლი (კაპ), რონან ოგარა, ეუჯინ რედანი, პიტერ სტრინგერი, ენდრიუ ტრიმბლი, პადი ვოლესი

**მორკინალეები:** ნილ ბესტი, რორი ბესტი, საიმონ ბესტი, საიმონ ისტერბი, სტივენ ფერისი, ჯერი ფლანერი, ჯონ ჰეიესი, მარკუს ჰორანი, დენის ლამი, დონჩა ოკალაჰანი, პოლ ოკონელი, მალკოლმ ოკელი, ალან ქვინლანი, ფრანკი შეჰანი, დავიდ ვოლესი, ბრაიან იანგი

**მწვრთნელი:** ედი ოსალივანი

**ირლანდიის** შესახებ ხშირად გვსმენია, თუმც უმეტესწილად ეს ცნობებია საინფორმაციო გამოშვებებიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან ბელფასტში მომხდარი ტერორისტული აქტებისა თუ სამხედრო პატრულის მიერ დაკავებული დამნაშავეების შესახებ ყოფილა. ანუ გვაქვს ინფორმაცია იმ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებზე, რომლებიც აგერ უკვე ასი წელია, კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილს არყევს — არადა, ირლანდია არაჩვეულებრივად წყნარი, მშვიდობიანი და ულამაზესი ქვეყანაა. „ზურმუხტოვანი კუნძულის“ სახელმწიფო სადავეებს საუკუნეების განმავლობაში ინგლისი განაგებდა და მის კულტურულ-პოლიტიკურ ჩამოყალიბებაში დიდი წვლილიც დაიდო.

„ჯარისკაცები ვართ და ჩვენი სიცოცხლეც ირლანდიას მივანდეთ.“ ეს სიტყვები ირლანდიის სახელმწიფო ჰიმნიდანაა და პატრიოტები მღერიან, რომელთაც ისტორიულად ერთიანი ირლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გამთლიანება სურთ.

რაგბი ერთადერთი სპორტია, რომელშიც პოლიტიკურად ორად გახლეჩილ კუნძულს განუყოფელი ნაკრები ჰყავს. ამ ნაკრებისთვის დაწერილი მისასალმებელი ჰაკასმაგვარი „ირლანდიური ყივილიც“ ხელიხელგადახვეული იმღერება და ტექსტის შინაარსიც ირლანდიელების ურთიერთთანადგომის სურვილითაა გაჟღენთილი. ისინი ამბობენ: „ნეტავ რაგბის შერკინება უფრო დიდი იყოს, რათა მთელი ირლანდია ერთად დამდგარიყო!“

წლევანდელ მსოფლიოს თასზე შესაძლოა, მათ ირლანდიური რაგბის ისტორიაში ყველაზე ძლიერი და გამოცდილი გუნდიც კი ჰყავდეთ. ედი ოსალივანის ნაკრებს სუსტი წერტილები თითქმის არ მოეძებნება. გასულ სეზონში „სამყურებმა“ ავსტრალიასან, სამხრეთ აფრიკასთან, ინგლისთან და საფრანგეთთან ითამაშეს. მაღალი დონის მეტოქეების დეფიციტს კუნძულელები არც არასდროს განიცდიდნენ, ბოლო წლებში კი მათ თავად ჰყავთ გუნდი-გრანდი — ბრაიან ოდრისკოლი, გორდონ დარსი, დენის ჰიკი, მალკოლმ ოკელი და სხვანი თანამედროვე რაგბის კაშკაშა ვარსკვლავები არიან. ხოლო თუ ირლანდიურ რაგბის პრესტიჟზე და დამსახურებებზე ვსაუბრობთ, საკმარისია ცოცხალი ლეგენდა, ალბათ ყველა დროის საუკეთესო ორი ნომერი კიტ ვუდი ვახსენოთ და რაგბის გურმანებისთვის გასაგები გახდება, რა სურს „ზურმუხტოვანი კუნძულის“ ვაჟკაცთა კრებულს.

მაგრამ ერთიც ვთქვათ: ირლანდიელები კვლავაც სიკვდილის ჯგუფში არიან განთესილები. 2003 წლის თასის დარად, ერთ ბობოლასთან (ამ ჯერზე ავსტრალიის მაგივრად საფრანგეთი ერგოთ) ერთად ურთიერთობა არგენტინასთანაც უნდა გაარკვიონ, რომელსაც 2003-ში მხოლოდ 16:15 მოუგეს.

# არგენტინა

მსოფლიო რეიტინგი: 5

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — ჯგუფში ჩარჩა
1991 — ჯგუფში ჩარჩა
1995 — ჯგუფში ჩარჩა
1999 — მეოთხედფინალში წააგო საფრანგეთთან
2003 — ჯგუფში ჩარჩა


„პუმების“ კაპიტანი აგუსტინ პიშო

AFP

## მათ უყვართ რაგბი და სამშობლო

„ასეთ შავ დღეში არასდროს ვყოფილვარ. ოთხი წლის წინ მსოფლიოს თასის მეოთხედფინალიდან რომ გავვარდით, მაშინაც კი არ მინერვიულია ასე, როგორც ახლა, როცა შემადგენლობა გამოვაცხადე“ — ეს არგენტინელთა მწვრთნელმა მარსელო ლოფრედამ ერთი თვის წინ აღიარა, როცა 41 კანდიდატიდან 30 რჩეული გააცხადა.

თურმე დაწუნებულთა მწუხარება იმდენად თვალში საცემი ყოფილა, რომ გუნდში მოხვედრილებს სახეზე სიხარულიც არ ეტყობოდათ, მეტიც ამ გოლიათებმა ცრემლიც ვერ შეიკავეს. მოკლედ, არგენტინელები უკიდურესად ემოციურები ყოფილან.

და როგორ ფიქრობთ, რა ქნეს იმათ, ვინც მსოფლიოს თასზე ვერ მოხვდნენ? რა და მწვრთნელისთვის ერთი აუგიც არ უთქვამთ, პირიქით, მხარზე ხელი დაურტყამთ, ფრანგულ სასტუმროებში ნომრები დაუჯავშნიათ, რომ მთელი ტურნირი საძმოსთან ერთად გაატარონ.

არგენტინას ყველა მსოფლიოს თასზე უთამაშია, ჯგუფიდან კი ერთადერთხელ, 1999 წელს ირლანდიის ძლევით გავიდა. ისე, ეს ირლანდია უკვე მესამედ უზის ჯგუფში არგენტინას და „პუმებსაც“ მთავარი ომი ახლაც კელტებთან, ჯგუფური ეტაპის ბოლო დღეს, პარიზში ექნებათ.

არგენტინელ „პუმებს“ კალენდრის მხრივ არც ამჯერად გაუმართლათ — ზედიზედ მესამე მსოფლიოს თასია, გახსნის მატჩში თასის მასპინძელს ერაგბება. არგენტინა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) რეიტინგში მეექვსე ადგილზე კია, მაგრამ ჯგუფებში ბობოლათა განთესვა-გადანაწილება IBR-ის უკულმართობით და კონსერვატიულობით სამი წლის წინ მოხდა და ხუთეულში ერთად მოიყარეს თავი საფრანგეთმა, ირლანდიამ და არგენტინამ.

ამათგან ერთ-ერთი ჯგუფში რომ ჩარჩება, ფაქტია. უფრო ზუსტად კი პლეი ოფის მეორე საგზურისთვის ირლანდია და არგენტინა დაჭამენ ერთმანეთს. არადა, ამ სამეულის ნებისმიერი გუნდი ნებისმიერ სხვა ჯგუფში რომ მოხვედრილიყო, მეოთხედფინალში აუცილებლად გავიდოდა.

სხვაფრივ კი არგენტინაში რაგბი 1899 წელს დაინერგა და დღეს 317 კლუბი 80 ათას მოთამაშეს აერთიანებს. ნაკრების ბირთვს ლეგიონერები შეადგენენ, სრულიად სარაგბეთში კი „პუმები“ ზემძლავრი შერკინებით არიან ცნობილნი. ამიტომაც რაზმში ექვსი ბურჯი და ერთადერთი ნომინალური ჰუკერი (2 ნომერი) ჰყავთ!

საქმეც ეგაა, რომ არგენტინელი პირველხაზელები ქართველებივით უნივერსალები არიან. იგივე ითქმის უკანახაზელებზეც, რომლებსაც ფრანგული „სტად ფრანსეს“ ვარსკვლავი 33 წლის აგუსტინ პიშო ულიდერებს. პიშო „პუმების“ კაპიტანია და ოთხი წლის წინ ავსტრალიაშიც უყოჩა თავისიანებს. ამასთან პიშო ერთადერთი „პუმაა“, ვისაც ჯერ კიდევ 1995 წელს სამხრეთ აფრიკის მსოფლიოს თასზე ურაგბია და ახლა კარიერის მეოთხე თასზე ითამაშებს.

„ჩვენ არ გვწყალობენ ზევით, მაგრამ ჩვენ გვიყვარს რაგბი და ჩვენი ქვეყანა, ბრძოლითა და უტეხობით ჯგუფიდანაც გავალთ და ნახევარფინალშიც ვითამაშებთ“ — ამბობს „პუმების“ გამწვრთნელი მარსელო ლოფრედა, რომელიც მსოფლიოს თასის შემდეგ საკლუბო რაგბის გრანდს, ინგლისურ „ლესტერს“ ჩაიბარებს.

**უკანა ხაზი:** აგუსტინ პიშო (კაპ), ფელიპე კონტეპომი, მანუელ კონტეპომი, იგნასიო კორლეტო, ნიკოლას ფერნანდეს მირანდა, მარტინ გაიტანი, ხუან მარტინ ერნანდესი, ორასიო აგულა, ლუკას ბორხესი, ხოსე მარია ნუნიეს პიოსეკი, ფედერიკო სერა მირასი, გონსალო პედრო ტიესი, ფედერიკო ტოდეშინი

**მორკინალეები:** პატრიციო ალბასეტე, რიმას ალვარეს კაირელისი, მარკოს ივან აუერზა, მარტინ ალბელდო დურანდი, კარლოს იგნასიო ფერნანდეს ლობე, ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე, სანტიაგო გონსალეს ბონორინო, ომარ ჰასანი, მარიო ეზეკილ ლედესმა, ხუან მანუელ ლეგუიზამონი, გონსალო მატიას ლონგო, ესტებან ლოსადა, ლუკას ოსტილია, როდრიგო რონჩერო, მარტინ სკელზო, მარტინ შუსტერმანი, ალბერტო ვერნეტ ბასუალდო

**მწვრთნელი:** მარსელო ლოფრედა

# შეუჩერებელი

## ბიგ-მაკმა ფედერერი განადიდა



AFP ნიუ იორკიდან

**შეუჩერებელი** — ეს უწოდა გუშინ დიდმა ჯონ მაკინროიმ როჯერ ფედერერს. გენიალურმა ალპელმა მორიგი სრულყოფილი თამაშით მოხიბლა ჩოგბურთის უბრალო მოყვარულნიცა და სპეციალისტებიც და თავგანწირვით მებრძოლი ენდი როდიკი კიდევ ერთხელ, მათი ურთიერთშეხვედრების ისტორიაში აგერ უკვე მეთოთხმეტედ წააქცია.

არადა, როდიკმა ბოლო წლებში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. პირველი ორი სეტის განმავლობაში ამერიკელმა თავისი შესაძლებლობების ზღვარზე ითამაშა. ორი სეტი როდიკი შეუჩერებლად ამუშავებდა თავის მომაკვდინებელ ყუმბარმტყორცნს და მიყოლებით 230 კმ/სთ-ით აწოდებდა, ეისებს აგროვებდა, არც ერთი ორმაგი არ დაუშვია და ფედერერისთვის ბრეიკ-პოინტიც კი არ მიუცია. ორი სეტი როდიკს აღფრთოვანებაში მოჰყავდა მის საგულშემატკივროდ შეკრებილი 23 733 იანკი უზუსტესი ფორჰენდებით, ბადესთან აკურატულობითა და მილებაზე თავისთვის უჩვეულო თვითდაჯერებული თამაშით. და როგორ ფიქრობთ, აქედან რას გამორჩა როდიკი?

მხოლოდ ორსეტიან დეფიციტს! მიუხედავად იმისა, რომ როდიკი თავის საუკეთესო ჩოგბურთს თამაშობდა, ფედერერმა ორივე სეტი ტაიბრეიკზე მაინც მოიგო. და მოიგო იმიტომ, რომ უფრო მრავალფეროვან ტექნიკურ არსენალს ფლობს, რაც თავს ყოველთვის იჩენს ხოლმე ყველაზე გადამწყვეტ მომენტებში. აქაც ასე იყო და როდიკის ლამის უშეცდომო თამაშის მიუხედავად, ალპელი მაინც დაწინაურდა, რამაც ენდი-ბოი წელში გატეხა და მესამე სეტში უკვე ხეირიანი ველარაფერი გააკეთა.

ფედერერმა კი „ფლეშინგ მედოუზის" კორტებზე ზედიზედ 25-ე მატჩი მოიგო და ზედიზედ მე-14 სლემტურნირის ნახევარფინალში გავიდა. კიდევ ერთი ნაბიჯიც და „მხიარული როჯერი" ზედიზედ მეათე სლემტურნირის ფინალში ითამაშებს, რაც რეკორდი: გარდა ამისა, შვეიცარიელი ამერიკელთა რისხვად რჩება — 38 მატჩია, ფედერერი იანკებთან არ აგებს მალე აშშ-ში ალბათ „პერსონა ნონ-გრანტად" გამოაცხადებენ.

„სადღაც გამიმართლა კიდეც — პირველი სეტი თავისუფლად შემეძლო წამეგო, მაგრამ საჭირო მომენტებში სწორი გადაწყვეტილებები მივიღე და ეს მაგრად დამეხმარა" — ასე ახსნა თავისი წარმატების საიდუმლო ფედერერმა.

ნახევარფინალში შვეიცარიელს ნიკოლაი დავიდენკოსთან მოუწევს დატაკება — შარშანდელისა არ იყოს, რუსმა მეოთხედფინალში წლეულსაც ტომი ჰაასი წააქცია. მოსკოველი ერთადერთია ტურნირზე, ვისაც სეტი არ წაუგია და ამიტომ ფედერერს წესით, მასთან უნდა გაუჭირდეს. თუმც ესეც საკითხავია — დავიდენკოს ხომ, როდიკის არ იყოს, ალპელის კომპლექსი აქვს და წინა 9 შეხვედრიდან ყველაში დამარცხდა. ასე რომ, ფედერერი აქაც უეჭველი ფავორიტია.

უმცროსი დის დამარცხების შემდეგ კი ჟუსტინ ენინს უფროს უილიამსთან მოუწევს დაპირისპირება. ეს ამბავი გუშინ გაირკვა მას შემდეგ, რაც ვინუსმა ძალიან დაძაბულ ბრძოლაში, რომლის გამარჯვებულის ვინაობა მხოლოდ გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზე გაირკვა, ელენა იანკოვიჩი დაჯაბნა. სერბი კარგად კი გამოიყურებოდა, მაგრამ უფროსი შავდის აგრესიულ სტილთან მაინც უძლური აღმოჩნდა.

მეორე ნახევარფინალი წმინდად რუსული იქნება — ნიუ იორკის 2004 წლის ტრიუმფატორი სვეტლანა კუზნეცოვა სლემტურნირების ნახევარფინალში პირველად გასულ ანა ჩაკვეტაძეს შეხვდება. პირველმა გუშინ თინეიჯერ აგნეს სყავაის კარგი გაკვეთილი ჩაუტარა და ჩაკვეტაძეც უპრობლემოდ გაუმკლავდა შაჰარ პირს.

**ბაჩა ლომჯარიძე**

# კალაშნიკოვას ჯერი: უკვე მეოთხედფინალი

**სეზონის** ბოლო სლემტურნირის გოგონათა შეჯიბრში თამაშს თამაშზე იგებს ოქსანა კალაშნიკოვა, ვისაც ორი დღის წინათ 17 წელი შეუსრულდა.

ნორჩმა ჩვენებურმა დაბადების დღე თანატოლ ფრანგთან, WTA-ს რეიტინგში 1170-ე ადგილზე მყოფ სინდი ჩალასთან 7:6 6:0 გამარჯვებით აღნიშნა. ეს მეორე წრის შეხვედრა იყო. მანამდე ოქსანამ 6:1 6:2 გაანადგურა გოგონათა ტურნირში მე-13 ნომრად განთესილი სლოვაკი რეკა ჟილინსკა.

გუშინ კი კალაშნიკოვამ მესამეც გაისროლა და რუმინელ სიმონა ჰალეპს 7:5 6:4 სძლია. ოქსანა უკვე მეოთხედფინალშია და იქ ამერიკელ ეშლი ვეინჰოლდსა და ახალზელანდიელ საშა ჯონსს შორის გამარჯვებულს შეხვდება.



la vuelta'07 Vigo del 1 al 23 Madrid

## ვუელტა-2007

ესპანეთი. 1-23 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP

# ოსკარი მესამედ

**გუშინ** „ვუელტაზე" მეექვსე ეტაპი იყო და უკვე მესამედ, პირველობა რბოლის მასპინძელს, ჰოლანდიური „რაბობანკის" მრბოლ ოსკარ ფრეირეს დარჩა. თანაც, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა მიჯრით მეორე ეტაპი მოიგო და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ თანამედროვეობის უძლიერეს სპრინტერთაგანია.

დიახ, გუშინდელი, რეინოსადან ლოგრონომდე გაჭიმული 184-კილომეტრიანი ეტაპის ბედი კვლავაც ფინიშის სწორზე, სპრინტერთა დავაში გადაწყდა და ფრეირემ კვლავ უშანსოდ დატოვა კონკურენტები, რომელთა შორისაც ფინიშის ისეთი დიდოსტატები იყვნენ, ტომ ბოონენი (მე-4 ადგილი), ალესანდრო პეტაკი (მე-6) და ერიკ ცაბელი (მე-15) რომ არიან.

როგორც შედეგებიდანაც ჩანს, ბოონენი, პეტაკი და ცაბელი უკანასკნელ მეტრებზე უკვე სტატისტები იყვნენ. ფრეირეს ბოლომდე „ეუსკალტელის" ესპანელი კოლდო ფერნანდესი და „T-მობაილის" გერმანელი ანდრე კორფი ეომნენ, მაგრამ ვერას გახდნენ.

ბუნებრივია, პელოტონიდან გაქცევის მცდელობა გუშინაც იყო და გაქცეულები ძირითად ჯგუფს ერთი ხანობა შვიდ წუთზე მეტსაც უგებდნენ, მაგრამ ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე გველეშაპ-ქარავანმა მაინც ჩაყლაპა წინ მყოფნი და მერე კი ოსკარ ფრეირეს ჯერიც დადგა.

დღეს „ვუელტაზე" კიდევ ერთი რიგითი ეტაპია, რომლის გამარჯვებულის ვინაობა, სავარაუდოდ, ისევ ქალაქის ქუჩებში გაირკვევა და ხვალ კი პირველი, თანაც 52-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლაა კარინენადან სარაგოსამდე.

| მე-6 ეტაპი. რეინოსა — ლოგრონო. 184 კმ | |
|---|---|
| 1. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი") | 4 სთ. 24 წთ. 10 წმ |
| 2. კოლდო ფერნანდესი (ესპანეთი, ეუსკალტელი") | |
| 3. ანდრე კორფი (გერმანია, „T-მობაილი") | |
| 4. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი") | |
| 5. ანჯელო ფურლანი (იტალია, „კრედიტ აგრიკოლა") | ყველას იგივე დრო |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, „კაისე დეპარნი") | 24 სთ. 34 წთ. 56 წმ. |
| 2. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი") | +1 წთ და 1 წმ |
| 3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | + 1 წთ და 6 წმ |
| 4. მაქსიმ მონფორტი (ბელგია, „კოფიდისი") | + 1 წთ 6 წმ |
| 5. სტინ დევორდერი (ბელგია, „დისქავერი") | + 1 წთ 6 წმ |



# ერთი ნაღდი

## ორი თავიც და თავაძე ჩემპიონია

**ბაქოში** მიმდინარე კადეტ მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ნახევარფინალები და ფინალებიღაა ჩასატარებელი. საქართველოს ნაკრებიდან კი რინგს ერთადერთი მოკრივე შერჩა. შესაბამისად, ჩვენებურებს ერთი მედალი უკვე განაღდებული აქვთ — 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჩხუბარი რომან თავაძე დღეს ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში ყაზახ იერლან სეიდალიევს ხვდება და თუ აჯობებს, ოქრომდე ერთი ნაბიჯიღა დარჩება, წაგების შემთხვევაში კი ბრინჯაოს დასჯერდება.

ნახევარფინალამდე თავაძემ ორი მეტოქე ჩამოიცილა — უკრაინელ მიხაილო სელივანოვს 21:6 სძლია, ხოლო მასპინძელ ფარიდ მოსუმოვს — 12:9.

აზერბაიჯანში ქართული გუნდი ცხრაკაციანი შემადგენლობით ჩავიდა და თავაძის გარდა მოგებას გემო მხოლოდ გელა აბაშიძემ (48-კგ) გაუსინჯა. მან ტურნირი თურქი ალქან ოზდემირის ძლევით დაიწყო, მაგრამ აზერბაიჯანელ ელვინ მამისზადესთან ვეღარას გახდა. ავთანდილ ჭუბაბრია (46 კგ), თორნიკე კოტრიკაძე (50 კგ), ლევან ქობულაშვილი (52 კგ), ადილ ასლანოვი (54 კგ), გიორგი ჯაყელი (63 კგ), ჯაბა ხოსიტაშვილი (66 კგ) და ბაქარ კურმაშვილი (75 კგ) კი პირველსავე წრეში დამარცხდნენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუზელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჭორჭოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge